F75/2 № 13915

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო
КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა
2 ივლისი
1939 წ.
№ 149 (5549)
ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთში:

საკოლმეურნეო კადრების ბოლშევიკური აღზრდა („პრავდის" მოწინავე)
მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტური შეჯიბრების მოწინავენი (1-ლი გვ.)
სტალინის სახელობის რკინიგზის დელეგაციამ დაამთავრა მუშაობა (1-ლი გვ.)
ა. ლეონტიევი — კერძო-მესაკუთრული ტენდენციები და მათთან ბრძოლა (მე-2 გვ.)
ლომაძე, მირცხულავა — რევოლუციის გენიის მუზეუმი (მე-2 გვ.)
სანიმუშოდ ჩავატაროთ საკარმიდამო მიწების აზომვა (მე-3 გვ.)
შევჩენკოს თეატრის გასტროლები (მე-4 გვ.)

უცხოეთში:

უკანასკნელი ცნობები (1-ლი გვ.)
„საბჭოთა ხალხების ერთიანობისა და მეგობრობის დარბაზის" გახსნა საბჭოთა პავილიონში (1-ლი გვ.)
მდგომარეობა ტიანძინში (მე-4 გვ.)
გერმანია იარაღს აწვდის ჩინეთს (მე-4 გვ.).

საკოლმეურნეო კადრების ბოლშევიკური აღზრდა

სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის ერთერთ შესანიშნავ შედეგს წარმოადგენს ახალი კადრების, საკოლმეურნეო ინტელიგენციის შექმნა.

მეტად მოკლე ვადაში კოლმეურნეობებმა შესძლეს მოეცათ ნიჭიერ ორგანიზატორთა, სოფლის მეურნეობის ყველა დარგის დახელოვნებულ ოსტატთა მთელი არმია. საკმარისია ითქვას, რომ ახლა მარტო ტრაქტორისტთა და კომბაინერთა რიცხვი ერთნახევარ მილიონ კაცს აღემატება. სოციალისტურ მიწათმოქმედებაში ჩაბმულია 300 ათასი აგრონომი, მიწისმზომელი, ზოოტექნიკოსი, ვეტერინარი ექიმი და ფერშალი. ასიათასობით კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ბრიგადირი, მეცხოველე უაღრესად პასუხსაგებ მუშაობას ეწევა დიდი და რთული საკოლმეურნეო მეურნეობის გამგებლობის დარგში.

კოლმეურნეობანი თავიანთი პირველხარისხოვანი ტექნიკით, შრომის მეცნიერული ორგანიზაციით უზრუნველჰყოფენ ახალი კადრების განუწყვეტელ ზრდას და დაწინაურებას. ჩვენ იმის მოწმენი ვართ, თუ როგორ ხდებიან გუშინდელი რიგითი კოლმეურნეები კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებად, პარტიულ და საბჭოთა მოღვაწეებად. მაგალითად, ალტაის მხარის ბელოგლაზოვის რაიონში, ეფრემოვული მოძრაობის სამშობლოში, უკანასკნელი ერთიერთნახევარი წლის განმავლობაში კოლმეურნეო, პარტიულ და საბჭოთა სამუშაოზე დაწინაურებულ იქნა 43 კაცი. რგოლის წარჩინებული ხელმძღვანელი ამხ. ჩუხნოვი, რომელმაც ჰექტარზე 85 ცენტნერი ხორბალი აიღო, ამჟამად რაიმიწგანის ინსტრუქტორად მუშაობს ეფრემოვული მოძრაობის ხაზით. სარეკორდო მოსავლის რგოლის ხელმძღვანელი ამხ. ...კოვი დაწინაურებულია დიდი კოლმეურნეობის „ნოვი მირის" თავმჯდომარედ. ამხანაგი უშანოვი და მიროშნიჩენკო, რომლებიც უწინ რიგითი კოლმეურნეები იყვნენ, ამჟამად სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეებად მუშაობენ.

საკოლმეურნეო კადრების ასეთი ...სალი ზრდა ყველგან არის. იგი ...მობს საკოლმეურნეო წყობილების უდიდეს ძალას, ხალხის ნიჭს, რომ სოციალიზმმა გამოაღვიძა. მარტო ხარკოვის ოლქმა სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად ...სი 857 წარჩინებული ადამიანი წამოაყენა. დამტკიცებულ მონაწილეთა შორის არიან: სოფლის მეურნეობის 309 ორგანიზატორი, მემცენარეობის 113 სპეციალისტი, მეცხოველეობის 100 სპეციალისტი და სხვ. თვითეულ ამ ადამიანს, — ისინი კოლმეურნე გლეხობის ხორცი ხორცთაგანი არიან, — დიდი დამსახურება აქვს კოლმეურნეობათა წინაშე, თვითეულმა მათგანმა გამოიჩინა შესანიშნავი ინიციატივა, თავი ისახელა შეუპოვრობით საზოგადოებრივ შრომაში.

საკოლმეურნეო კადრები უდიდეს ფასეულობას წარმოადგენენ. მათი ...ალებით ხელმძღვანელობს პარტია კოლმეურნეობათა მუშაობას. ...ხელმძღვანელი საკოლმეურნეო კადრების სწორად შერჩევასა და მათს პოლიტიკურ აღზრდაზე მეტად და ... ბევრი რამ არის დამოკიდებული. მტს-ის, კოლმეურნეობის ან ...ის სათავეში მდგომი ადამიანი, რომელსაც ხელმძღვანელი პოსტი ...ვს რაიონში, უნდა იყოს დიდად შეგნებული, მედგარი და თავდადებული მებრძოლი საკოლმეურნეო საქმისათვის. ჩვენი საკოლმეურნეო კადრები უნდა აღვზარდოთ ...თა სახელმწიფოს ინტერესებისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით, იმ დიდი ისტორიული ...ების გაგების სულისკვეთებით, რომლებიც პარტიის XVIII ყრილობამ დაუსახა ჩვენს ქვეყანას.

...რამ საკოლმეურნეო კადრების პოლიტიკურად აღზრდა სრულიად ...მაოდ არის გაშლილი. ბევრ ...ს პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელები საკოლმეურნეო კადრების მხოლოდ რიცხვობრივი ზრდით დაკმაყოფილდნენ, ნაკლებად ზრუნავენ ამ კადრების პოლიტიკური აღზრდისათვის. ეს უსათუოდ შეცდომაა. საჭიროა სავსებით და ბოლომდე შევითვისოთ გაკვეთილები პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებისა „კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განიავებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ". რა მიზეზით გავრცელდა ფართოდ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების უაღრესად უხეში დარღვევანი? უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელები იმის ნაცვლად, რომ ყოველდღიურად აღეზარდათ კოლმეურნეობანი და კოლმეურნეები საკოლმეურნეო წესდების მტკიცედ დაცვის სულისკვეთებით, ხშირად თავიანთი ოპორტუნისტული პრაქტიკით თვითონ უწყობდნენ ხელს წესდების დარღვევას. იმის ნაცვლად, რომ განგაში აეტეხა, გადაჭრით აელაგმა კოლმეურნეობებში წამლეკი და სპეკულანტური ელემენტები, ზოგიერთი ხელმძღვანელი დანაშაულებრივი უდარდელობით ეკიდებოდა ბურჟუაზიული ტენდენციების შეპარვას კოლმეურნეობებში. მაშასადამე, საჭიროა სწრაფად და გადაჭრით გამოვასწოროთ ნაკლოვანებანი, აღმოვფხვრათ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევანი და ისე წარვმართოთ ჩვენი კადრების პოლიტიკური აღზრდა, რომ ასეთი ნაკლოვანებანი, ასეთი დამახინჯებანი შეუძლებელი გახდეს.

ყველა ჩვენი მუშაკი უნდა გაიმსჭვალოს იმ შეგნებით, რომ საკოლმეურნეო კადრების ბოლშევიკური შეგნებულობა და სიმტკიცე, მათი პოლიტიკური მომწიფებულობა, კომუნიზმის საქმისადმი მათი ერთგულება ყოველ ცალკე შემთხვევაში უწინარეს ყოვლისა იმის მიხედვით შეფასდება, თუ როგორ იბრძვიან ეს კადრები საზოგადოებრივი სოციალისტური მეურნეობის განმტკიცებისათვის, წვრილმესაკუთრული ტენდენციებისა და ნაშთების წინააღმდეგ, ზარმაცებისა და ცრუკოლმეურნეთა წინააღმდეგ, ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც ძირს უთხრის კოლმეურნეობის საფუძველს — საზოგადოებრივ მეურნეობას. პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკი უწინარეს ყოვლისა სახელმწიფო ინტერესების მედგარი და ფხიზელი დარაჯია, კომუნიზმის საქმისათვის ენერგიული და გაბედული მებრძოლია. ჩვენ ყველაფერი გვაქვს იმისათვის, რომ ყველა კოლმეურნეობამ, უკლებლივ ყველამ, იმუშაოს წარმატებით, გაამრავლოს საზოგადოებრივი სიმდიდრე, გაადიდოს შემოსავალი და აამაღლოს კოლმეურნეთა შეძლებულობა. ყველაფერი ჩვენზე, ხელმძღვანელებზეა დამოკიდებული, ვინაიდან ჩვენ მოწოდებული ვართ ვუხელმძღვანელოთ კოლმეურნეობებს და სრული პასუხისმგებლობა გვაწევს სოფლად მუშაობისათვის.

ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ყოველნაირად გავაძლიეროთ პასუხისმგებლობის ეს გრძნობა, ამოვწვათ და გამოვამჟღავნოთ ოპორტუნიზმის, მოდუნეობის, თვითდამშვიდების ოდნავი გამოვლინებანიც კი.

პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციათა პრაქტიკულ საქმიანობაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სისტემატურ პროპაგანდისტულ და სააგიტაციო მუშაობას. საჭიროა ფართოდ განვმარტოთ ამხანაგ სტალინის მოძღვრება სასოფლო-სამეურნეო არტელის შესახებ, კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის შემდგომი ბრძოლის გზების შესახებ. მარქსიზმ-ლენინიზმი დოგმა კი არ არის, არამედ სახელმძღვანელოა მოქმედებისათვის. დაჟინებით უნდა ვასწავლოთ ჩვენს მუშაკებს მარქსიზმ-ლენინიზმი, თეორიის გამოყენება პრაქტიკაში, მოვლენათა განვითარების წინასწარ განჭვრეტა. პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილება „კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განიავებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ" ბრწყინვალე ნიმუშია იმისა, თუ როგორ უნდა რევოლუციური თეორიის გამოყენება სინამდვილეში, და ამ ნიმუშის მიხედვით ისწავლონ მთელი ჩვენი კადრები. ჩვენ უნდა აღვზარდოთ ისეთი ადამიანები, რომლებსაც ექნებათ ფართო ჰორიზონტი, ფხიზელი თვალი, იმის უნარი, რომ კოლმეურნეობათა ცხოვრების მთელ სიღრმეს ჩასწვდნენ. ჩვენ გვესაჭიროება არა ბეცი საქმოსნები, არამედ ბოლშევიკი პოლიტიკოსები, საზოგადოებრივი განვითარებისა და პოლიტიკური ბრძოლის კანონების ცოდნით შეიარაღებულნი.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს საკოლმეურნეო პირველადი პარტორგანიზაციების განმტკიცებას. მათს მდგომარეობაზე ცოტათი როდია დამოკიდებული კადრების ბოლშევიკური აღზრდა. საკოლმეურნეო პარტორგანიზაციების რაოდენობა ამ ბოლო დროს გაიზარდა, მაგრამ ჯერ კიდევ სრულიადაც არ არის საკმარისი. ამ მუშაობას ბევრი რაიკომი ჯეროვან მნიშვნელობას არ აძლევს. ვანა საჭიროა ვამტკიცოთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მტკიცე, ბრძოლისუნარიან პარტორგანიზაციას კოლმეურნეობაში? ჩვენი მოვალეობაა განვამტკიცოთ საკოლმეურნეო პარტორგანიზაციები, გავაუმჯობესოთ მათდამი ხელმძღვანელობა, მივაღწიოთ იმას, რომ კომუნისტები შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულების მაგალითს წარმოადგენდნენ ყველგან და ყოველთვის.

უდიდესი როლი ეკუთვნის კომკავშირს. მისი გავლენით იზრდება კადრების მძლავრი რეზერვი — კოლმეურნე ახალგაზრდობა. კომკავშირს მინიჭებული აქვს ფართო ინიციატივა სამეურნეო საქმეებში. იქ, სადაც საკოლმეურნეო პირველადი პარტორგანიზაცია არ არის, საკოლმეურნეო კომკავშირული ორგანიზაცია პარტიული დირექტივების ძირითადი გამტარებელია. მარტო მოსკოვის ოლქში 1255 პირველადი კომკავშირული ორგანიზაციაა კოლმეურნეობებში, სადაც პარტორგანიზაციები არ არის. ეს დიდი ძალაა, რომელიც ფართოდ უნდა გამოვიყენოთ და მტკიცე ბოლშევიკები უნდა აღვზარდოთ კომკავშირული კადრებისაგან.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე ამხ. ანდრეევი ამბობდა:

„ბოლო უნდა მოვუღოთ ზერელე დამოკიდებულებას მტს-ების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრებისადმი და საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების დირექტორთა, კოლმეურნეობების თავმჯდომარეთა და ბრიგადირთა ხშირი გამოცვლის პრაქტიკას და სერიოზულად უნდა დავეხმაროთ კოლმეურნეობებს ხელმძღვანელი კადრების შერჩევაში და მათს პოლიტიკურ აღზრდაში".

კოლმეურნეობათა პოლიტიკურად შეგნებული და უნარიანი ხელმძღვანელი კადრები საწინდარია კოლმეურნეობათა წარმატებისა მთელს მათ საქმიანობაში. ჩვენი ამოცანაა მუდმივად გავუწიოთ დახმარება კადრებს, თავიდან ავაცილებინოთ შეცდომები, ვასწავლოთ გულმოდგინედ და ყოველდღიურად, არ დავიშუროთ დრო იმისთვის, რომ „თავი შევიწუხოთ" მზარდი მუშაკებისათვის და, ამგვარად დავაჩქაროთ მათი ზრდა. 1933 წელს სიტყვაში „სოფლად მუშაობის შესახებ" ამხანაგი სტალინი ამბობდა:

„კოლმეურნეობებს, როგორც მეურნეობის ორგანიზაციის სოციალისტურ ფორმას, შეუძლიათ გვიჩვენონ სამეურნეო მშენებლობის სასწაულები, თუ მათ სათავეში დგანან ნამდვილი რევოლუციონერები, ბოლშევიკები, კომუნისტები".

კოლმეურნეობებმა ეს სასწაულები უკვე გვიჩვენეს, და ისინი ახალს, კიდევ უფრო შესანიშნავ გამარჯვებებს მიაღწევენ, თუ ჩვენ, კომუნისტები, არასოდეს არ დავივიწყებთ და მთელს ჩვენს მუშაობაში, ყოველდღიურად განვახორციელებთ ამხანაგ სტალინის ბრძნულ მითითებებს.

„პრავდის" მოწინავე, 1/VII.

სტალინის სახელობის რკინიგზის დელეგაციამ დაამთავრა მუშაობა

...ლინის სახელობის რკინიგზის ...აციამ, რომელიც ჩამოსული ...იერ-კავკასიის რკინიგზაზე ამ ...ს შორის დადებული სოციალ...ური შეჯიბრების ხელშეკრულების შესრულების შესამოწმებლად, უკვე დაამთავრა თავისი მუშაობა.

...თან დაკავშირებით 30 ივნისს ...რკინიგზის სამმართველოში ...ა გზის მოწინავე ადამიანების ...ლური შეკრება, რომელსაც ...რნენ ცალკეული კვანძების ...მადგენლები — სტახანოველ-...ოსელები, გზის პარტიული, ...ოთა, პროფკავშირული და ...შირული ორგანიზაციების ...ვანელი მუშაკები.

...ებაზე, რომელიც გახსნა საგ...ომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ...ნაძემ, დელეგაციის მიერ ...ბული მუშაობის შესახებ მო...თ გამოვიდა დელეგაციის ...ვანელი — სტალინის სახელობის რკინიგზის პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილე ამხ. ...კინი. სიტყვებით გამოვიდ...ნინაკანის საორთქლმავლო ...ვონოსელი მემანქანე ამხ. აბაჯევი, სტალინის სახელობის რკინიგზის დნეპროპეტროვსკის საექსპლოატაციო განყოფილების დისპეტჩერი ამხ. სტეპანოვი, თბილისის საორთქლმავლო დეპოს უფროსის მოადგილე ამხ. გაგნიძე, ა.-კ. რკინიგზის საბინაო განყოფილების უფროსი ამხ. თორაძე, სტალინის სახელობის რკინიგზის ნიჟნედნეპროვსკის კვანძის საორთქლმავლო დეპოს კრივონოსელი მემანქანე ამხ. ცარკოვი, ამხ. დომბრავა (თბილისის დეპო), სამტრედიის საექსპლოატაციო განყოფილების დისპეტჩერი ამხ. დუნდუა, თბილისის საორთქლმავლო დეპოს პარტბიუროს მდივანი ამხ. გეტაშვილი, ა.-კ. რკინიგზის პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილე ამხ. ესაკია და ნიჟნედნეპროვსკის კვანძის საორთქლმავლო დეპოს უფროსი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. შმატკოვი.

შეკრებაზე ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტურ შეჯიბრებაში სტალინის სახელობისა და ა.-კ. რკინიგზების კოლექტივის ჩაბმამ უდიდესი როლი ითამაშა ამ გზების მუშაობაში არსებული ვიწრო ადგილების გამოსწორებისათვის ბრძოლაში, დარაზმა რკინიგზელთა მასები ტვირთზიდვის სახელმწიფო გეგმების მტკიცედ შესრულებისათვის, აამაღლა კოლექტივების პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისადმი, ხელი შეუწყო არსებული რესურსების გამომჟღავნებას.

სტალინელების მიერ სოცშეჯიბრების შემოწმება ა.-კ. რკინიგზაზე უსათუოდ დადებითი მოვლენა იყო. მან ხელი შეუწყო ჩვენი გზის მუშაობაში ჯერ კიდევ არსებული ხარვეზების გამოვლინებას და მათზე ყურადღება გაამახვილა. უკრაინელი ამხანაგების ჩამოსვლამ გამოიწვია ახალი საწარმოო ენტუზიაზმი ჩვენს რკინიგზელებში, რაც გამოიხატა ცალკეული ბრიგადებისა, ცვლებისა და მუშაკების მიერ სტალინელების ინდივიდუალურად გამოწვევაში, გამოცდილების გაზიარებაში და სხვ.

გუშინ დილით დელეგაცია მთელი შემადგენლობით საქართველოს სამხედრო გზით გაემგზავრა თავის სამშობლოში.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში

პირველ ივლისს ამხ. მოლოტოვმა მიიღო ინგლისის ელჩი ბ-ნი სიიდსი, საფრანგეთის ელჩი ბ-ნი ნაჯიარი და ბ-ნი სტრენგი, რომლებმაც ამხ. მოლოტოვს გადასცეს ინგლის-საფრანგეთის ახალი წინადადებანი.

საუბარი საათნახევარს გაგრძელდა.

„საბჭოთა ხალხების ერთიანობისა და მეგობრობის დარბაზის" გახსნა საბჭოთა პავილიონში

ნიუ-იორკი, 30 ივნისი (საკდესი). გუშინ ნიუ-იორკის მსოფლიო გამოფენის საბჭოთა პავილიონში გაიხსნა „საბჭოთა ხალხების ერთიანობისა და მეგობრობის დარბაზი". დარბაზის გახსნის საზეიმო ნაწილს დაესწრნენ ამერიკის ცნობილი მწერლები, მხატვრები, მეცნიერები, არქიტექტორები და სხვ. დიდ დარბაზში გამოფენილია ფართო პანორამა, რომლის სიგრძე 265 ფუტს უდრის, ხოლო სიგანე — 28 ფუტს. პანორამა წარმოადგენს საბჭოთა კავშირში მოსახლე ყველა ხალხის ერთიანობისა და მეგობრობის სიმბოლოს.

სერგო ორჯონიკიძის ძეგლის პროექტი

ორჯონიკიძე, 29 ივნისი (საკდესი). გუშინ ჩრდილოეთ-ოსეთის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტში გაიხსნა სერგო ორჯონიკიძის ძეგლის პროექტების გამოფენა.

განსაკუთრებით დიდ ყურადღებას იპყრობს პროექტი დევიზით „ბოლშევიკის გზა". ბარელიეფებით მორთულ პირამიდულ კვარცხლბეკზე აღმართულია სერგოს დიდებული ფიგურა.

საუკეთესო პროექტები დაჯილდოებული იქნება. პირველი ჯილდოა —10 ათასი მანეთი, მეორე — 6 ათასი მანეთი.

ძეგლი უნდა დაიდგას რესპუბლიკის დედაქალაქში — ქ. ორჯონიკიძეში.

ხალხთა სტალინური მეგობრობის შედეგად

(ტყიბული, საკ. კორესპონდენტისაგან)

27 ივნისს ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებში სამუშაოდ ჩამოვიდნენ დონბასის ორჯონიკიძის სახელობის ტრესტის „კრასნი პროფინტერნის" შახტის სტახანოველი ქალები: პელაგია ავრამენკო, ეკატერინა კირიჩენკო, მარია აკსენოვა და პელაგია შუმსკაია, რომლებიც ტყიბულის მაღაროელ მუშა-ქალებს ხალხთა სტალინური მეგობრობის გრძნობით გაჟღენთილ წერილში ამ რამდენიმე დღის წინ სწერდნენ: „თქვენი დელეგაციის საშუალებით შევიტყვეთ, რომ ტყიბულში ქალთა ძალიან მცირე რაოდენობა მუშაობს შახტში. ჩვენ, ორჯონიკიძელმა მაღაროელმა ქალებმა გადავწყვიტეთ ჩამოვიდეთ თქვენთან, საქართველოში, დიდი სტალინის სამშობლოში და გაგიზიაროთ სტახანოვური მეთოდით მუშაობის გამოცდილება".

დონბასელი მაღაროელი ქალები 28 ივნისს მტვირთავებად და გამგორებლებად გაიგზავნენ ლენინის სახელობის მაღაროში.

— შესანიშნავია დიდი სტალინის სამშობლო. ჩვენ აქ, ტყიბულის მაღაროებში, მოგვიყვანა ხალხთა სტალინურმა მეგობრობამ. ტყიბულის მაღაროელებს ჩვენ ვუჩვენებთ ქალთა შრომის გამოყენების მაგალითებს, — განაცხადა პელაგია ავრამენკომ.

ხალხთა სტალინური მეგობრობის ნიადაგზე ფართოვდება დონბასისა და ტყიბულის მაღაროელთა სოციალისტური შეჯიბრება. მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებაზე ხელი მოაწერა ტყიბულქვანახშირის ტრესტის ლენინის სახელობის მაღაროს მოწინავე უბნის უფროსმა ინჟინერმა ქალმა ქეთო შალიკაშვილმა და დონბასის პაპანინელთა სახელობის შახტის მოწინავე უბნის უფროსმა ზბარსკიმ. ქ. შალიკაშვილის ვალდებულებას შეადგენს: უბნის სადღეღამისო დავალება — 150 ტონა ქვანახშირის ამოღება აიყვანოს 200 ტონამდე, შტრეკში ყოველთვიურად არანაკლებ 60 მეტრის წინსვლით, ქვანახშირის ნაცრიანობა შეამციროს 3 პროცენტით, ხოლო თვითღირებულება — 5 პროცენტით და 1939 წლის გეგმა შეასრულოს 15 ოქტომბრისათვის.

უბნის უფროსმა ზბარსკიმ აიღო ვალდებულება ქვანახშირის სადღეღამისო ამოღება აიყვანოს 350 ტონიდან 700 ტონამდე, სანგრევ ხაზში ყოველთვიურად არანაკლებ 60 მეტრის წინსვლით, ქვანახშირის ნაცრიანობა შეამციროს 15 პროცენტამდე და 1939 წლის გეგმა შეასრულოს ვადაზე ადრე — 1 აგვისტოს.

— გთხოვთ ყოველ 15 დღეში მომწეროთ თქვენი წარმატებების შესახებ, — სწერს ამხ. ზბარსკი დონბასიდან ინჟ. ქ. შალიკაშვილს. შალიკაშვილმა ზბარსკის მისწერა, რომ მისმა უბანმა ივნისის 15 დღეში ქვანახშირის ამოღების დავალება 105 პროცენტით შეასრულა.

დ. საგელაშვილი

უკანასკნელი ცნობები

დაძაბული მდგომარეობა დანციგში

პარიზი, 1 ივლისი (საკდესი). გუშინდელი საღამოს გაზეთი „სე სუარი" აღნიშნავს, რომ გერმანიის მოიერიშე რაზმების რამდენიმე ასეული ჯარისკაცი, რომელიც ამ უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში აღმოსავლეთ პრუსიიდან დანციგს ჩავიდა, დაბინავებულია ქალაქის რამდენიმე პუნქტში. 28 ივნისს, ღამით, მემელიდან დანციგს გადაიყვანეს მოიერიშეთა რჩეული რაზმი. რაზმი მოათავსეს დანციგის „სპორტის სასახლეში". მოელიან, რომ გერმანიიდან დანციგს ჩავლენ ახალი სამხედრო რაზმები, რომლებისთვისაც დანციგის სამხრეთ-დასავლეთით ბარაკებს აშენებენ.

მეორე დეპეშით გაზეთი „სე სუარი" იუწყება, რომ 16-დან 25 წლამდე ასაკის დანციგელმა ახალგაზრდობამ მიიღო ბრძანება — შევიდეს ეგრეთწოდებულ „მოხალისეთა კორპუსში". ამ „კორპუსის" ერთი ნაწილი სამხედრო სწავლას გადის აღმოსავლეთ პრუსიაში.

ვარშავიდან იუწყებიან, რომ ამ უკანასკნელ დღეებში აღმოსავლეთ პრუსიის ყველა პუნქტებში ჩადის გერმანიის ახალი ჯარი.

გაზეთ „პტი პარიზიენის" სიტყვით, პარიზსა, ლონდონსა და ვაშინგტონში ჰფიქრობენ, რომ დანციგში ძალადობის აქტს უახლოეს დროში მოახდენენ.

იაპონია ინგლისს თავის პირობებს უკარნახებს

ტოკიო, 1 ივლისი (საკდესი). ინგლის-იაპონიის მომავალი მოლაპარაკება კვლავ იპყრობს იაპონიის პრესის ყურადღებას. ამასთან უკვე ახლა იაპონია ინგლისს უკარნახებს განსაზღვრულ პირობებს, რომელთა საფუძველზედაც უნდა გაიმართოს მოლაპარაკება. როგორც უკვე ვიუწყებოდით, ტიანძინის საკითხის შესახებ იაპონელთა მიერ წამოყენებული პირობები შეიცავენ ხუთ მოთხოვნას, რომელთაც ინგლისი, იაპონიის გაზეთების მტკიცებით, სავსებით უნდა დაეთანხმოს. გარდა ამისა, მოლაპარაკება უნდა შეიცავდეს შორეულ აღმოსავლეთში ინგლისისა და იაპონიის ურთიერთდამოკიდებულების მთელ კომპლექსს. იაპონიის პირობების მიხედვით, ინგლისმა უნდა სცნოს „ახალი ვითარება აზიაში", რაც ორი წლის ომის შემდეგ შეიქმნა. იაპონიის ყველა გაზეთი ერთსულოვნად აღნიშნავს, რომ, თუ ინგლისი შეეცდება მოლაპარაკება მხოლოდ ტიანძინის პრობლემის გადაჭრით განსაზღვროს, მაშინ ეს მოლაპარაკება ჩაიშლება. მოთხოვნა, რომ ინგლისმა სცნოს „ახალი წესრიგი აზიაში" და ითანამშრომლოს იაპონიასთან, იმას ნიშნავს, რომ ინგლისმა უნდა მიიღოს იაპონიის ყველა მოთხოვნა ტიანძინის, შანხაის, გულანსუს და სხვათა სეტლმენტების შესახებ. გაზეთი „მიაკო" აცხადებს: „თუ ინგლისი არ დასთანხმდება ყველა ამ საკითხის განხილვას, მაშინ მოლაპარაკების ჩაშლა უცილობელია".

ყუმბარები დაუშინეს ფუჯოუს სამისიონერო სკოლას

ლონდონი, 1 ივლისი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს შანხაელი კორესპონდენტი იუწყება, რომ 30 ივნისს იაპონელებმა ყუმბარები დაუშინეს ამერიკულ სამისიონერო სკოლას ფუჯოუში, რის შედეგადაც შენობა თითქმის მთლიანად დაინგრა. მოკლულია რამდენიმე სტუდენტი. ამასთან დაკავშირებით ამერიკის ხელისუფლების წარმომადგენლებმა შანხაიში, — სწერს კორესპონდენტი, — იაპონელებს პროტესტი განუცხადეს.

გადადგა ჰოლანდიის მთავრობა

ამსტერდამი, 30 ივნისი. გადადგა კოლინის მთავრობა. ახალი მთავრობის შედგენა ისევ კოლინის დაევალა. (საკდესი).



პურის აღება კომბაინით თელავის რაიონის 1 მაისის სახელობის კოლმეურნეობაში.
საქდესის ფოტოქრონიკა

სახალხო სეირნობა სასოფლო-სამეურნეო გამოფენის აღსანიშნავად

მოსკოვი, 30 ივნისი (საკდესი). მოსკოვის სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში (იზმაილოვო) შესდგა დიდი სახალხო სეირნობა, რომელიც მიეძღვნა მოსკოვის ორდენოსანი ოლქის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეთ. ოლქის 20 რაიონიდან დედაქალაქში ჩამოვიდა კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობების 1000 წარმომადგენელი — გამოფენის მონაწილე.

გაიმართა მიტინგი. მოხსენება „მოსკოვის ორდენოსანი ოლქი სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე" გააკეთა მოსკოვის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. პალცევმა. მიტინგს დაესწრნენ საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის მდივნები ამხ. ჩერნოუსოვი, ტარასოვი და კალაშნიკოვი.

მიტინგის მონაწილეებმა დიდის აღფრთოვანებით გაუგზავნეს მისალმება ამხანაგ **სტალინს.**

მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტური შეჯიბრების მოწინავენი

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოები, რომლებმაც 25 ივნისისათვის გადაჭარბებით შეასრულეს ნახევარი წლის გეგმა.

თ ბ ი ლ ი ს ი

ფეხსაცმლის ფაბრიკა № 1 — დირექტორი — ჯალალოვი, პარტბიუროს მდივანი — გაბუნია, ფაბკომის თავმჯდომარე — კაჭარავა.

ტყავის ქარხანა № 1 — დირექტორი—თევდორაძე, პარტბიუროს მდივანი — ჭანტურიძე, ქარხკომის თავმჯდომარე — პოზანენკო.

ბამბის ფაბრიკა — დირექტორი—სილაძე, პარტბიუროს მდივანი—ჩილაკოზიანი, ფაბკომის თავმჯდომარე — გეგუჩაძე.

სამკერვალო ფაბრიკა № 1 — დირექტორი—ქართველიშვილი, პარტბიუროს მდივანი — ქარუმიძე, ფაბკომის თავმჯდომარე — ბერიკაშვილი.

სამკერვალო ფაბრიკა № 6 — დირექტორი—მურადაშვილი, პარტბიუროს მდივანი — შახგულოვი, ფაბკომის თავმჯდომარე—არუთინოვა.

ინდივიდუალურ დაკვეთების სამკერვალო ფაბრიკა — დირექტორი—გაბუნია, პარტბიუროს მდივანი — აბრამოვი, ფაბკომის თავმჯდომარე — ჯავახოვი.

ქ უ თ ა ი ს ი

ტყავფეხსაცმლის კომბინატი—დირექტორი — დალაქიშვილი.

სამკერვალო ფაბრიკა № 4 — დირექტორი — კვატაშიძე, პარტბიუროს მდივანი — ამირანაშვილი, ფაბკომის თავმჯდომარე — ნამჩევაძე.

ბ ა თ უ მ ი

სამკერვალო ფაბრიკა № 5—დირექტორი — ვიგნანსკი, პარტბიუროს მდივანი—ბალანკოვა, ფაბკომის თავმჯდომარე — დათუნაშვილი.

ფეხსაცმლის ფაბრიკა — დირექტორი — სიხარულიძე.

ს ო ხ უ მ ი

ტყავფეხსაცმლის კომბინატი—დირექტორი — ცვეტნოი, პარტბიუროს მდივანი — გრინევი, ფაბკომის თავმჯდომარე — კლორიკიniანი.

მიტინგი ტყვარჩელის სახელმწიფო რაიელსადგურში

კვეზანი, 1 ივლისი (საქდესი). ტყვარჩელის სახელმწიფო რაიელსადგურის კოლექტივი დიდი აღფრთოვანებით შეხვდა საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებას ტყვარჩელის სახელმწიფო რაიელსადგურისათვის **ლ. პ. ბერიას** სახელის მიკუთვნების შესახებ.

— ჩვენი სადგურისათვის ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას სახელის მიკუთვნება, — სთქვა მიტინგზე ამხ. ჩხეიძემ, — გვავალებს ვიმუშაოთ სტახანოვურად, მივაღწიოთ მაღალ მაჩვენებლებს ჩვენს მუშაობაში.

— ჩვენ ვადამდე — 5 დეკემბრამდე — უნდა შევასრულოთ ელექტროენერგიის გამომუშავების წლიური გეგმა და პირველ ადგილზე გამოვიდეთ სტალინგრადის თბოელექტროცენტრალთან გამართულ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვა ზეინკალმა დოცენკომ, რომელმაც განაცხადა, რომ კოლექტივი წლიურ პროგრამას ვადამდე შეასრულებს. ნახევარი წლის დავალება შესრულებულ იქნა 8 ივნისს.

მიტინგმა მქუხარე ოვაციით მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ამხ. **ლ. პ. ბერიას.**

რუსთაველის სახელობის ქართული თეატრი ოდესაში

ოდესა, 1 ივლისი (საკდესი). გუშინ ოდესაში საგასტროლოდ ჩამოვიდა რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი ქართული სახელმწიფო თეატრი. ოდესის მშრომელნი გულთბილად შეეგებნენ ქართველი ხალხის ხელოვნების შესანიშნავ ოსტატებს. მატარებლის მოსვლის მომენტისათვის ვაგზალზე თავი მოიყარეს მეცნიერებისა და ხელოვნების, ქარხნების, ფაბრიკების, უმაღლესი სასწავლებლებისა და ჯარის ნაწილების წარმომადგენლებმა.

სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, ორდენოსანმა ა. ვასაძემ მზიანი საქართველოს მშრომელებისაგან მხურვალე ძმური სალამი გადასცა ოდესის მშრომელებს და მთელ უკრაინელ ხალხს.

ოდესაში თეატრი დასდგამს 14 წარმოდგენას. ხვალ იგი უჩვენებს პიესა „არსენას".

2 ივლისს, საღამოს 8 საათზე, რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში შესდგება ბრიგადის მეთაურის ამხანაგ **ა. ფ. ანისოვის** ფასიანი ლექცია რუსულ ენაზე, თემა:

„თანამედროვე ეპოქაში ომების ხასიათის შესახებ"

შესვლა 1 მანეთი. ბილეთები იყიდება ფილარმონიის სალაროში, რუსთაველის პროსპექტი № 21.

კონსულტაცია

კერძო-მესაკუთრული ტენდენციები და მათთან ბრძოლა

I

ბურჟუაზიული ბნელეთისმოციქულობის ყველაზე მოშამულ გამონაგონთა რიცხვს ეკუთვნის ის ჭორი, თითქოს კერძო საკუთრება საზოგადოების ცხოვრების მარადიულ და აუცილებელ პირობას შეადგენს, თითქოს უიმისოდ ადამიანებს არასოდეს არ შეეძლოთ, არ შეუძლიათ და ვერ შესძლებენ არსებობას. ამ ბოროტ ცილისწამებას ადამიანთა მოდგმაზე კაცობრიობის მთელი ნამდვილი ისტორია აბათილებს.

კერძო საკუთრებას აქვს თავისი **დასაწყისი** და თავისი **დასასრული** საზოგადოების განვითარების მსვლელობაში.

ადამიანები მრავალ ასეულათას წელიწადს ცხოვრობდნენ დედამიწაზე ისე, რომ არ იცოდნენ კერძო საკუთრება, ქონებრივი უთანასწორობა, კლასებად დაყოფა. პირველყოფილ-თემური წყობილების დროს ბუნებაზე ადამიანის ბატონობა უმნიშვნელოა, საწარმოო ძალების განვითარების დონე მეტისმეტად დაბალია. მხოლოდ საერთო შრომით და თავისი შრომის მცირეოდენი პროდუქტის საერთოდ მოხმარებით, შეუძლიათ ადამიანებს არსებობა და თანდათანობით, თუმცაღა მეტად ნელა, წინსვლა.

მაგრამ საარსებო საშუალებათა მოპოვების ხერხები უმჯობესდება. საერთო საკუთრება წარმოების საშუალებებსა და შრომის პროდუქტზე იცვლება კერძო საკუთრებით. კერძო საკუთრება თავისი სხვადასხვა ფორმებით ბატონობს მონათმფლობელური წყობილების, ფეოდალიზმისა და კაპიტალიზმის მანძილზე. სწორედ ბურჟუაზიული წყობილების დროს იგი აღწევს **უმაღლეს განვითარებას** და თავის ბატონობას უმორჩილებს საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების ყველა მხარეს უკლებლივ.

კაპიტალიზმს თავისი განვითარების მსვლელობაში მივყევართ **კერძო საკუთრების მოსპობის აუცილებლობამდე.**

წვრილი წარმოების დროს კერძო საკუთრება დამყარებულია მუშაკის **შეერთებაზე** მის მარტივ საწარმოო საშუალებებთან. მაგრამ კაპიტალიზმი ჰქმნის მსხვილ წარმოებას. კაპიტალისტური კერძო საკუთრება დამყარებულია მუშაკების **გამოყოფაზე** წარმოების საშუალებებისაგან, რომლებიც პარაზიტ-კაპიტალისტების ხელშია.

კაპიტალიზმი ანსაზოგადოებს მილიონობით ადამიანთა შრომას, ხოლო ფაბრიკებსა და ქარხნებს, სადაც ისინი მუშაობენ, მათი საერთო შრომის პროდუქტს ითვისებენ ერთი მუჭა მუქთახორა-პარაზიტები. კერძო საკუთრება, რომელიც განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში საზოგადოების განვითარების აუცილებელი პირობა იყო, უკვე დიდიხანია გადაიქცა **ბორკილებად** მძლავრი საწარმოო ძალებისათვის, რომლებიც კაცობრიობას მოეპოვება. სოციალისტური რევოლუცია სპობს ამ წინააღმდეგობას. ასე დგება კერძო საკუთრების ბატონობის **ისტორიული დასასრული.**

ბურჟუაზიამ, „კომუნისტური პარტიის მანიფესტის" უკვდავი დახასიათებით, „ადამიანებს შორის დასტოვა მხოლოდ ერთი კავშირი, შიშველი ინტერესი, უსულგულო „ნაღდი". „მან ადამიანის პირადი ღირსება საცვლელ ღირებულებად გადააქცია". ადამიანთა ყველა წინანდელი ურთიერთობანი და წარმოდგენანი „მან ეგოისტური ანგარიშის ყინულოვან წყალში ჩაახრჩო" [1]).

ბურჟუაზიულ სამყაროში ყველაფერი ყიდვა-გაყიდვის საგანი ხდება: სიყვარული, პატივი, სახელი, საარჩევნო ხმები, მეცნიერული ხარისხები ხელსაყრელი ან საპატიო თანამდებობანი და ა. შ. გამყიდველობა იჭრება საზოგადოების ყველა ნაწილში.

ფული, უსულგულო „ნაღდი" წარმოადგენს კეთილისა და ბოროტის საზომს, ფულზე ფასდება ადამიანთა ნიჭი, ცოდნა, უნარი, თვით ადამიანები. ბურჟუა თავის კერძო საკუთრებად სთვლის არა მარტო მის კუთვნილ მოძრავ და უძრავ ქონებას, არამედ თავის ცოლსაც, თავის შვილებს, თავის „სამშობლოს" და ა. შ.

საზოგადოებრივი კლასები ქვიტკირის კედლით როდი არიან ერთიმეორისაგან გამიჯნულნი. კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის შხამი, იმ ჩვევათა, შეხედულებათა, ჩვეულებათა შხამი, რომლითაც გაჟღენთილია ბურჟუაზიული საზოგადოების მთელი ატმოსფერო, მშრომელი მასების შეგნებასაც სწამლავს.

კერძო საკუთრება **სთიშავს ადამიანებს.** იგი წარმოადგენს იმ საზოგადოების საფუძველს, რომელშიაც ადამიანი ადამიანისათვის მგელია. იგი წარმოშობს ფსიქოლოგიას, რომელიც განსახიერებულია ისეთ „პრინციპებში", როგორიცაა: ჯერ თავო და თავო, მერე ცოლო და შვილო, ეს მე არ მეხება, ყველა თავისთვის, არავინ ყველასთვის. იგი ზრდის გაუმაძღრობას, სიხარბეს, ანგარებას, გულქვაობას. ვინ მოსთვლის, რამდენი ბოროტმოქმედება ხდება ყოველდღე, ყოველ საათს ბურჟუაზიულ სამყაროში სანაქებო კერძო საკუთრების სასახელოდ!

უდიდესმა მხატვარმა-რეალისტებმა, რომლებიც მართლად ხატავდნენ სინამდვილეს, დაგვანახვეს, თუ როგორ ამახინჯებს და ასახიჩრებს ადამიანს კერძო საკუთრებისა და პირადი გამორჩენის სამყარო, როგორ ადუმებს მასში ყოველივე იმას, რაც ადამიანთა შესაფერია, ანვითარებს უსაშინელეს თვისებებს. ეს სამყარო განსახიერებულია დაუვიწყარი სახეების გალერიაში, შეილოკით, ძუნწი რაინდით, პლიუშკინით დაწყებული გორკის არტამონოვებამდე, ლონდონის „რკინის ქუსლამდე" და სხვ. ონორე ბალზაკმა, რომელიც ძალიან შორს იდგა სოციალიზმისაგან, შექმნა მთელი რიგი პორტრეტები, რომელნიც სასიკვდილო განაჩენს წარმოადგენენ კერძო საკუთრების სამყაროსათვის.

მარქსმა და ენგელსმა თავისი მეცნიერული ანალიზით ცხადჰყვეს, რომ კერძო საკუთრების ბატონობა უნდა დაეცეს **საზოგადოებრივი განვითარების კანონების ძალით,** მათ ცხადჰყვეს მუშათა კლასის, როგორც **კაპიტალიზმის მესაფლავის,** როლი.

„თქვენ აღშფოთებული ხართ იმით, რომ ჩვენ გვსურს გავაუქმოთ კერძო საკუთრება,—სწერდნენ ისინი ბურჟუაზიის დამცველთა მისამართით.—მაგრამ თქვენს თანამედროვე საზოგადოებაში კერძო საკუთრება გაუქმებულია მის წევრთა ცხრა მეათედისათვის; იგი სწორედ იმის მეოხებით არსებობს, რომ არ არსებობს ცხრა მეათედისათვის. მაშასადამე, თქვენ გვისაყვედურებთ იმას, რომ ჩვენ გვსურს გავაუქმოთ საკუთრება, რომელიც აუცილებელ პირობად გულისხმობს საზოგადოების უდიდესი უმრავლესობის მიერ საკუთრების უქონლობას.

ერთი სიტყვით, თქვენ გვისაყვედურებთ, რომ ჩვენ გვსურს გავაუქმოთ თქვენი საკუთრება. დიახ, მართალია, ჩვენ გვსურს ეს" [2]).

II.

კერძო საკუთრების მოსპობა, რაც მარქსიზმის ფუძემდებლებმა იწინასწარმეტყველეს, განხორციელებულ იქნა დიდი სოციალისტური რევოლუციის მიერ სსრ კავშირში.

საბჭოთა ხელისუფლებამ პირველი ნაბიჯებიდანვე მოახდინა **მემამულეთა და კაპიტალისტთა** ექსპლოატატორული საკუთრების ლიკვიდაცია. მიწა საყოველთაოსახალხო კუთვნილება გახდა, ფაბრიკები და ქარხნები საბჭოთა ხელისუფლების ხელში გადავიდა.

გაცილებით უფრო ძნელი და რთული იყო მეორე ამოცანა—**მრავალმილიონიანი გლეხობის** გადაყვანა სოციალიზმის რელსებზე. თუ მსხვილი მრეწველობის დარგში საქმე მდგომარეობდა იმაში, რომ ბურჟუაზიისათვის ჩამოგვერთმია რამდენიმე ათასი საწარმო, სადაც შრომა უკვე განსაზოგადოებული იყო მსხვილ წარმოებად, სოფლის მეურნეობის დარგში საქმე მდგომარეობდა მრავალი მილიონი მეურნეობის ცხოვრების მთელი წყობისა და შრომის ხასიათის ძირფესვიანად გადაკეთებაში, წვრილი, დაქსაქსული, ინდივიდუალური მეურნეობიდან მსხვილ, განსაზოგადოებულ, სოციალისტურ წარმოებაზე გადასვლაში. კაპიტალიზმის დამცველნი მრავალი ათეული წლის განმავლობაში აშკარად ამყარებდნენ იმედს წვრილი გლეხის „ინდივიდუალისტურ თავის ქალაზე". ვთქვათ, თქვენ მოახერხებთ, — უპასუხებდნენ ისინი სოციალისტებს, — კერძო საკუთრების მოსპობას მრეწველობაში, წაართმევთ რა მცირერიცხოვან კაპიტალისტებს მათ ფაბრიკებსა და ქარხნებს; მაგრამ, როდესაც თქვენ შეეცდებით გადაიყვანოთ წვრილი გლეხები სოციალისტურ გზაზე, აუცილებლად კისერს წაიტეხთ.

გლეხები შეადგენენ მოსახლეობის უმრავლესობას მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. წვრილი წარმოების დატოვება მოასწავებს კაპიტალიზმის მასაზრდოვებელი ნიადაგის დატოვებას.

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების სიდიადე იმაშია, რომ მან იპოვა **გზა გლეხობის სოციალისტური გარდაქმნისაკენ.**

ჯერ კიდევ მარქსმა მკაფიოდ დაგვისურათა წინააღმდეგობით გამსჭვალული და ორმაგი ხასიათი გლეხობის ძირითადი მასების მდგომარეობისა ბურჟუაზიული წყობილების პირობებში. მან დაგვანახვა, რომ კაპიტალის მიერ გლეხების ექსპლოატაცია მხოლოდ ფორმით განსხვავდება მუშების ექსპლოატაციისაგან. წვრილი გლეხი გაფაციცებით ებღაუჭება თავის ნაკვეთს, თავის პარცელს, მაგრამ ბურჟუაზიული წყობილება წარმოადგენს „მტარვალს, რომელიც სწოვს მისი გულის სისხლს და მისი თავის ტვინს და აგდებს მას კაპიტალის ალქიმიურ რეტორტში" [3]).

წვრილი გლეხის კერძო საკუთრება იქცევა ბორკილად, რომელიც აჯაჭვავს მას კაპიტალის ეტლზე, უღლად, რომელიც განწირავს მას არაადამიანური მძიმე ჯაფისათვის, დაუსრულებელი გაჭირვებისათვის. კაპიტალმა გლეხობის უდიდესი უმრავლესობისათვის მხოლოდ ერთი გზა იცის: სიღატაკისა და გაჩანაგების, სიველურისა და ჩამორჩენილობის, ილუზორული „დამოუკიდებლობისათვის" გამძაფრებული და უიმედო ბრძოლის გზა.

ბურჟუაზია, იყენებს რა გლეხობას თავის რეზერვად, მიმართავს წვრილი მესაკუთრის **ცრურწმენას.** პროლეტარიატი, იზიდავს რა გლეხობას თავის მოკავშირედ, მიმართავს მშრომელის **გონებას.**

მარქსს მიაჩნდა, რომ „სოფლის მეურნეობისა და მასზედ დამყარებული მესაკუთრული სიბილწის გარდაქმნა მომავალი გადატრიალების ალფა და ომეგა უნდა გახდეს" [4]). მან გამოსთქვა გენიალური აზრი იმის აუცილებლობის შესახებ, რომ პროლეტარულ რევოლუციას დახმარება გაეწიოს გლეხთა ომის რაიმე მეორე გამოცემით. ეს აზრი, რომელმაც თავისი განვითარება ვერ ჰპოვა მარქსისა და ენგელსის შრომებში და დავიწყებას მიეცა II ინტერნაციონალის თეორეტიკოსების მიერ, ლენინის გენიით შემდგომ განვითარებულ იქნა და გადამუშავდა „სოციალისტური რევოლუციის მწყობრ თეორიად" [5]). გლეხობის გადაქცევა ბურჟუაზიის რეზერვებიდან პროლეტარიატის რეზერვებად, პროლეტარული რევოლუციისათვის მხარდაჭერა მილიონობით „მშრომელი და ექსპლოატირებული მასების" მხრით, პროლეტარიატისა და ქალაქის და სოფლის ნახევრადპროლეტარული ელემენტების კავშირი — ასეთია პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების პირობა.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ლენინი დაუღალავად აღნიშნავდა, რომ სოფლის სოციალისტური გარდაქმნის ამოცანის გადასაჭრელად პროლეტარიატი უნდა გამოჰყოფდეს, გამიჯნავდეს მშრომელ გლეხს მესაკუთრე გლეხისაგან, — მუშაკ გლეხს ჩარჩი გლეხისაგან, — მშრომელ გლეხს სპეკულანტი გლეხისაგან.

ამ გამიჯნვაშია, სწერდა იგი, — სოციალიზმის **მთელი დედაარსი**". [6])

წმინდათა-წმინდად იცავდა რა ლენინის ანდერძს, პარტიამ მიიყვანა ჩვენი სამშობლო სოციალიზმის დიად გამარჯვებებამდე. ამხანაგმა სტალინმა გაამრავლა მარქსისტულ-ლენინური თეორიის საგანძური, გაამდიდრა რა იგი ცხოვრების უდიდესი ახალი გამოცდილების, სოციალიზმის პრაქტიკულად განხორციელების გამოცდილების საფუძველზე. იმის მსგავსად, როგორც ლენინმა საბჭოებში აღმოაჩინა მუშათა კლასის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმა, ამხანაგმა სტალინმა **ცხადჰყო კოლმეურნეობების,** როგორც სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის ფორმის, **ისტორიული მნიშვნელობა.**

სტალინურმა კოლექტივიზაციამ ბოლო მოუღო კერძო საკუთრებას სოფლად. ადგილი წინანდელი, წვრილი, დაქსაქსული წარმოებისა, რომელიც ემყარებოდა წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრებას, დაიკავა მსხვილმა, განსაზოგადოებულმა, სოციალისტურმა წარმოებამ, რომელიც დამყარებულია **წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივ საკუთრებაზე.**

აჯამებდა რა „დიადი გარდატეხის წლის" შედეგებს, როდესაც დაიწყო გლეხების მასობრივი მოძრაობა მთლიანი კოლექტივიზაციისათვის, ამხანაგი სტალინი სწერდა:

„იმსხვრევა და ქარწყლდება უკანასკნელი იმედი ყველა ქვეყნის კაპიტალისტებისა, რომლებიც ოცნებობენ საბჭოთა კავშირში კაპიტალიზმის აღდგენაზე, — „კერძო საკუთრების წმინდა პრინციპი". გლეხები, რომლებსაც ისინი კაპიტალიზმისათვის საჭირო ნიადაგის გამანოყიერებელ მასალად სთვლიან, მასობრივად სტოვებენ „კერძო საკუთრების" სანაქებო დროშას და გადადიან კოლექტივიზმის რელსებზე, სოციალიზმის რელსებზე". [7])

კოლექტივიზაციის ისტორიული მნიშვნელობა განსაკუთრებით მკაფიოდ დასურათებულია „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში". ეს იყო **უღრმესი რევოლუციური გადატრიალება,** რომელიც თავისი შედეგებით 1917 წ. ოქტომბრის რევოლუციური გადატრიალების თანაბარ მნიშვნელოვანი იყო. ყველაზე მრავალრიცხოვანი ექსპლოატატორული კლასი ჩვენს ქვეყანაში, კულაკების კლასი, ლიკვიდირებულ იქნა. ყველაზე მრავალრიცხოვანი მშრომელი კლასი ჩვენს ქვეყანაში, გლეხობის კლასი, გადაყვანილ იქნა ერთპიროვნული მეურნეობის გზიდან, რომელიც კაპიტალიზმს წარმოშობს, საკოლმეურნეო, სოციალისტური საკუთრების გზაზე. ამრიგად, საბჭოთა ხელისუფლებამ მიიღო სოციალისტური ბაზა სახალხო მეურნეობის ყველაზე ვრცელ და საარსებოდ აუცილებელ, მაგრამ ამავე დროს ყველაზე ჩამორჩენილ დარგში — სოფლის მეურნეობაში.

III.

სოციალიზმი შენდება ადამიანთა მასალისაგან, რომელიც მემკვიდრეობით მიღებულია კაპიტალიზმისაგან.

პროლეტარიატი კაპიტალიზმის დროს მოკლებულია საკუთრებას. ეს არის კლასი, რომლის ისტორიულ მოწოდებასაც წარმოადგენს კერძო საკუთრების სამყაროს დანგრევა და საზოგადოებრივ საკუთრებაზე დამყარებული ახალი სამყაროს აშენება. მაგრამ ღრმა შეცდომა იქნებოდა გვეფიქრნა, რომ მუშათა კლასი უკვე თავისუფალია ძველი საზოგადოების დამპალი ნაშთებისაგან.

ლენინი არაერთხელ აღნიშნავდა ხაზგასმით, რომ ექსპლოატატორული წყობილებისაგან დარჩენილი წყეული ჩვეულებებისა და ტრადიციების აღმოფხვრა ხანგრძლივ და მედგარ ბრძოლას მოითხოვს.

ასე, მაგალითად, საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ლენინი სწერდა:

„განა კლასობრივი ბრძოლა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ეპოქაში იმაში არ მდგომარეობს, რომ დავიცვათ მუშათა **კლასის** ინტერესები იმ ერთი მუჭა მუშებისაგან, მუშათა იმ ჯგუფებისაგან, ფენებისაგან, რომლებიც დაჟინებით ებღაუჭებიან კაპიტალიზმის ტრადიციებს (ჩვეულებებს) და კვლავ ძველებურად უყურებენ საბჭოთა სახელმწიფოს: მისცენ „მას" რაც შეიძლება ნაკლები და რაც შეიძლება უფრო ცუდი ნამუშევარი, ხოლო წაჰგლიჯონ „მას" რაც შეიძლება მეტი ფული" [8]).

შრომის სოციალისტური დისციპლინის დანერგვა, ბრძოლა კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის ნაშთებთან — უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სოციალისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე.

ღირს გავიხსენოთ შემდეგი შემთხვევა, ერთი მრავალთაგან. 1928 წელს „კომსომოლსკაია პრავდის" ფურცლებზე თავისებური დისკუსია ჩატარდა, დაიბეჭდა შენიშვნა, სადაც კომკავშირელებისათვის იდეალად გამოყვანილი იყო ვინმე უაღრესად ყაირათიანი ახალგაზრდა. როგორც შემდეგში გამოირკვა, ეს იყო წვრილი მტაცებლის ტიპი, ის აშიშვლებდა საკუთარ დას, რომელიც მისთვის მუშაობდა და სხვ. მაიაკოვსკი მაშინ გამოეხმაურა დისკუსიას ლექსით, სადაც ის ამ „გმირის" შესახებ სწერდა:

მთელი ეკონომიკიდან
მას
აინტერესებს
მხოლოდ
თავისი ეკონომია.

უაღრესად მავნე მანილოვშჩინა იქნებოდა, გვქონოდა იმის მოლოდინი, რომ კოლმეურნენი, შედიან რა კოლმეურნეობებში, წინასწარ სწვავენ კოცონზე თავის ინდივიდუალისტურ ჩვევებს და კერძო-მესაკუთრულ ნაშთებს. სინამდვილეში ეს ასე მარტივად როდი ხდება. წინანდელი, ერთპიროვნული მეურნეობის ჩვეულებათა დაძლევა ხდება მხოლოდ თანდათანობით, ცხოვრების დრომოჭმულ, ძველ და ახალ, განმტკიცების პროცესში მყოფ, წყობას შორის **გადამწყვეტი ბრძოლის** მსვლელობაში.

კოლექტივიზაციის პირველ წლებში ცოტა ზიანი კი არ მიაყენეს ახალგაზრდა კოლმეურნეობებს განადგურებული ექსპლოატატორული კლასების ნაშთებმა. კულაკმა, რომელიც აშკარა ბრძოლაში დამარცხდა, ტაქტიკა შეიცვალა. მან დაიწყო შეპარვით მოქმედება. მოტყუების გზით იპარებოდნენ რა კოლმეურნეობებში, კულაკური ელემენტები ცდილობდნენ აეფეთქებინათ ისინი შიგნიდან, ძირი გამოეთხარათ შრომის დისციპლინისათვის, გაენადგურებინათ პიროტყვი და სხვ. ისინი იყენებდნენ იმ გუშინდელ ერთპიროვნულ მეურნეთა კერძო-მესაკუთრულ ჩვევებს, რომელნიც კოლმეურნენი გახდნენ. ისინი ცდილობდნენ შეერყიათ საზოგადოებრივი საკუთრება **მასობრივი ქურდობისა და მტაცებლობის** მოწყობის გზით.

რაზმავდა რა პარტიას კლასობრივი მტრის ქურდული ოინების წინააღმდეგ საბრძოლველად, ამხანაგი სტალინი 1933 წ. იანვარში ამბობდა:

„თქვენ, როგორც მარქსისტებმა, უნდა იცოდეთ, რომ ადამიანთა შეგნება თავის განვითარებაში ჩამორჩება მათ ფაქტიურ მდგომარეობას. კოლმეურნეები მდგომარეობით უკვე ერთპიროვნული მეურნეები კი არ არიან, არამედ კოლექტივისტები, მაგრამ მათ ჯერჯერობით ძველი, კერძო-მესაკუთრული შეგნება აქვთ. და აი, ყოფილი ადამიანები ექსპლოატატორულ კლასთა რიგებიდან იყენებენ კოლმეურნეთა კერძო-მესაკუთრულ ჩვეულებებს, რათა მოაწყონ საზოგადოებრივი ქონების მტაცებლობა და მით შეარყიონ საბჭოთა წყობილების საფუძველი — საზოგადოებრივი საკუთრება" [9]).

ექსპლოატატორულ კლასთა ნაშთების ქურდული მანევრები გამოაშკარავებულ იქნა და მარცხით დამთავრდა. ლენინ-სტალინის პარტია, რომელსაც უყოყმანოდ უჭერენ მხარს მშრომელი მასები, გაუძღვა ამ მასებს სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის საბრძოლველად. პარტიამ შექმნა მტს-ების პოლიტგანყოფილებანი, რომლებმაც უდიდესი მუშაობა ჩაატარეს კოლმეურნეობათა განმტკიცებისათვის, მავნებლური კულაკური ელემენტებისაგან, მათი გაწმენდისათვის, საკოლმეურნეო აქტივის აღზრდისათვის.

საკოლმეურნეო წყობილებამ მტკიცე გამარჯვება მოიპოვა. კოლმეურნეობებმა წარმოშვეს ასობით და ათასობით შესანიშნავი ადამიანები, რომელთა მსგავსი ძველ სოფელს არასოდეს არ სცოდნია. ესენი არიან სოციალისტური სოფლის მეურნეობის მოწინავენი, წარჩინებული ტრაქტორისტები და კომბაინერები, მწველავი ქალები და მებამბეები, ჯგუფხელები და ბრიგადირები, მოწინავე კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები და მაღალი მოსავლის ენტუზიასტები.

მათგან საუკეთესოებმა მთელ საბჭოთა კავშირში გაითქვეს სახელი. საბჭოთა ხალხმა საკოლმეურნეო შრომის ბევრი წარჩინებული სტახანოველი აღჭურვა მაღალი ნდობით, აირჩია რა ისინი სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებში. სოციალისტური სოფლის მეურნეობის ათასობით მოწინავე ადამიანები დაჯილდოებული არიან უმაღლესი ჯილდოთი — სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით.

საბჭოთა საზოგადოებაში მოწინავე ადამიანები ტონის მიმცემი არიან ცხოვრების ყველა დარგში. მაგრამ მათთან ერთად ბლომად არიან ჩამორჩენილი ადამიანებიც. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ სისტემატურად ავამაღლოთ მშრომელთა მთელი მასა მოწინავეთა დონემდე.

ჩვენმა პარტიამ საკოლმეურნეო მოძრაობის ძირითად ფორმად წამოაყენა სასოფლო-სამეურნეო არტელი.

სასოფლო-სამეურნეო არტელის გადამწყვეტი უპირატესობა, როგორც მიგვითითებს ამხანაგი სტალინი, მდგომარეობს იმაში, რომ ის **სწორად ათავსებს** კოლმეურნეთა პირად ინტერესებს მათს საზოგადოებრივ ინტერესებთან, **მოხერხებულად უფარდებს** პირად ინტერესებს საზოგადოებრივ ინტერესებს. ამის მეოხებით ადვილდება კოლექტივიზმის სულისკვეთებით აღვზარდოთ ის კოლმეურნენი, რომელნიც წინათ ერთპიროვნულად ეწეოდნენ მეურნეობას.

არტელში, როგორც ცნობილია, წარმოების ძირითადი საშუალებანი განსაზოგადოებულია, კოლმეურნეთა ცხოვრების საფუძველს წარმოადგენს მიწის საზოგადოებრივი საკუთრება და კოლექტიური შრომა. კოლმეურნეთა პირადი საკარმიდამო მეურნეობა, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებით, შემოფარგლულია სავსებით გარკვეული ჩარჩოებით და ატარებს დამხმარე ხასიათს, წარმოადგენს რა იმის წყაროს, რომ დაკმაყოფილებულ იქნას კოლმეურნეთა ზოგიერთი საყოფაცხოვრებო მოთხოვნილება—ბოსტნეულზე, რძეზე და ა. შ.

იღებდა რა არტელს საკოლმეურნეო მოძრაობის ძირითად ფორმად, პარტია განიხილავდა მას, როგორც **სისტემატური წინსვლის** საშუალებას, როგორც სოციალისტური წყობილების შემდგომი განმტკიცებისა და განვითარების საშუალებას, როგორც კომუნიზმისაკენ წინსვლის საშუალებას. საკოლმეურნეო წყობილების განვითარება და ზრდა მოითხოვს, რომ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის ხვედრითი წონა კოლმეურნეთა შრომის ბალანსში და მათ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში განუხრელად იზრდებოდეს, ხოლო პირადი მეურნეობის, როგორც კოლმეურნეთა შრომის გამოყენების ობიექტისა და მათი შემოსავლის წყაროს ხვედრითი წონა მცირდებოდეს.

ლენინ-სტალინის პარტია ყოველთვის ანგარიშს უწევდა, რომ განსაზღვრული დროის განმავლობაში არსებობს წინააღმდეგობა კოლმეურნის მდგომარეობასა და მის შეგნებას შორის. მაგრამ ამ წინააღმდეგობას, ჰეგელის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, წინ რომ მივყავდეთ, არ შეიძლება დავეყრდნოთ თვითდინებას, საჭიროა ფხიზლად ვადევნებდეთ თვალყურს იმ პროცესებს, რომლებიც საკოლმეურნეო სოფელში მიმდინარეობს, საჭიროა ვაწარმოებდეთ შეუსუსტებელ ბრძოლას კერძო-მესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ, რომლებიც კოლმეურნეობებში შეაქვთ განადგურებული კულაკობის ნაშთებს.

პარტიის XVIII ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩვენი სამშობლოს განვითარების ახალი ხანის — უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლის ხანის — პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება **მშრომელი მასების კომუნისტური აღზრდის** საქმეს, ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების დაძლევას. ხოლო კაპიტალიზმის ნაშთები თავისთავად როდი ქარწყლდება: ისინი აღმოიფხვრება ძველი სამყაროს დამპალი ტრადიციების, ტენდენციების, ჩვევების წინააღმდეგ გადამწყვეტი და მედგარი ბრძოლის პროცესში.

დგას რა კოლმეურნე გლეხობის ინტერესთა სადარაჯოზე, ჩვენი პარტიის სტალინურმა ცენტრალურმა კომიტეტმა გადაჭრით დაჰგმო სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების არსებული დამახინჯებანი, რომლებიც გამოიხატებიან კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განიავებითა და დატაცებით, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების ხარჯზე საკარმიდამო ნაკვეთების უკანონოდ გაფართოებით, კოლმეურნეთა პირადი მეურნეობის გაბერვით, როდესაც პირადი მეურნეობა დამხმარიდან იქცევა კოლმეურნეთა შემოსავლის ძირითად წყაროდ.

ვინ არის დაინტერესებული სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების მსგავსი დარღვევებით? რა თქმა უნდა, არა კოლმეურნეთა ძირითადი მასა. **კოლმეურნეთა უდიდესი უმრავლესობა** ხომ პატიოსანი მშრომელებია, რომლებმაც მტკიცედ დაუკავშირეს თავისი ბედი კოლმეურნეობების ბედს. კოლმეურნეობათა განვითარების ძირითადი ტენდენცია სავსებით საღია. წლითი-წლობით სისტემატურად იზრდება იმ კოლმეურნეთა რიცხვი, რომელთაც 200, 300, 600 და მეტი შრომადღეები აქვთ.

მაგრამ მათთან ერთად კოლმეურნეობებში არის განსაზღვრული ნაწილი კოლმეურნეებისა, რომელნიც ცდილობენ რაც შეიძლება ნაკლები მისცენ კოლმეურნეობას, თავისთვის კი რაც შეიძლება მეტი წაჰგლიჯონ. მათთვის კოლმეურნის სახელწოდება მხოლოდ საფარია თავისი პირადი მეურნეობის გაბერვისათვის. მათ შრომადღეების სრულიად უმნიშვნელო რაოდენობა აქვთ, ისინი ძირს უთხრიან შრომის დისციპლინას, მათი მიზეზით იქმნება მუშა-ხელის ხელოვნური ნაკლებობა მისი ფაქტიური სიჭარბის დროს. ეს მუქთახორები და მუქთამჭამელები კისერზე ასხედან კოლმეურნეობებს, ყველა პატიოსან კოლმეურნეს.

კერძო-მესაკუთრული და წამგლეჯი ელემენტები სპეკულაციისა და პირადი გამორჩენის მიზნით იყენებენ კოლმეურნეობებს. ისინი არიან, რომ მიმართავენ ისეთ უკანონო მოქმედებას, სახელმწიფოს და მთელი კოლმეურნე გლეხობის მოტყუების ისეთ ფორმებს, როგორიც არის ცრუ-გაყოფა, იჯარა, ხოლო ზოგჯერ მიწის გაყიდვაც და სხვ.

საკოლმეურნეო წყობილების დიადი, უძლეველი ძალა იმაში მდგომარეობს, რომ მან სამუდამოდ მოუღო ბოლო „კერძო-მესაკუთრულ ღორობას მიწაზე". მიწა, რომელიც წინათ დაფლეთილი იყო შრომის უბადრუკი იარაღებით, უხვად მორწყული იყო გლეხების ურიცხვ თაობათა ოფლით, დამახინჯებული იყო წვრილ და უწვრილეს მეურნეობათა მიჯნებით, ახლა პირველად იძლევა ნაყოფს თავის ძალის სრული ზომით.

კოლმეურნეობებში გლეხობამ პირველად მიიღო ხვალინდელი დღის რწმენა, პირველად გაიმართა წელში, გამოსცადა ძალა კოლექტიური შრომისა მსხვილ წარმოებაში, რომელიც შეიარაღებულია მძლავრი მოწინავე ტექნიკით.

საკოლმეურნეო წყობილების ძალისა და სიმტკიცის ძირითადი წყაროა კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწა. მისი დაცვა კერძო-მესაკუთრული და წამგლეჯი ელემენტების ყოველგვარი ხელყოფისაგან— ასეთია კოლმეურნეობათა შემდგომი აყვავების, კოლმეურნე გლეხობის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი აღმავლობის უმნიშვნელოვანესი პირობა.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებაში „კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განიავებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ" აღნიშნულია, რომ „სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების ზემოთაღნიშნული და მათი მსგავსი უაღრესად უხეში დარღვევანი ფართოდ გავრცელდა მხოლოდ იმიტომ, რომ პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელები ნაცვლად იმისა, რომ ყოველდღიურ მუშაობას ეწეოდნენ კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა საკოლმეურნეო წესდების მტკიცედ დაცვის სულისკვეთებით აღსაზრდელად, თავიანთი ოპორტუნისტული პრაქტიკით თვითონ უწყობენ ხელს წესდების დარღვევას და დანაშაულებრივი შემწყნარებლობით ეკიდებიან კოლმეურნეობებში საკოლმეურნეო წყობილებისადმი მტრული კერძო-მესაკუთრული, ბურჟუაზიული ტენდენციების შეპარვას, რომლებიც შეაქვთ განადგურებული კულაკობის ნაშთებს".

ეყრდნობა რა კოლმეურნეთა უდიდესი უმრავლესობის მხარდაჭერას, პარტიამ გადამწყვეტი ბრძოლა გამოუცხადა ამ კერძო-მესაკუთრულ, ბურჟუაზიულ ტენდენციებს. პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილება ითვალისწინებს ღონისძიებათა მოფიქრებულ სისტემას, რომელთა განხორციელებამ ბოლო უნდა მოუღოს საკოლმეურნეო წესდების დამახინჯებებს, კერძო-მესაკუთრული და წამგლეჯი ელემენტების საამებლად კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განიავებას.

ამ ზომების განუხრელად გატარება გამანადგურებელ ლახვარს ჩასცემს კერძო-მესაკუთრულ ტენდენციებს და მათ მატარებლებს, კიდევ უფრო განამტკიცებს კოლმეურნეობათა საზოგადოებრივ მეურნეობას, გაუკაფავს გზას საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი, კიდევ უფრო სწრაფი წარმატებისათვის.

ა. ლეონტიევი

„პრავდა".

---

[1]) **მარქსი და ენგელსი.** მანიფესტი კომუნისტური პარტიისა, 1938 წ. გვ. 24.

[2]) **მარქსი და ენგელსი.** მანიფესტი კომუნისტური პარტიისა, გვ. 37-38.

[3]) **მარქსი.** თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა. რჩეული ნაწარმოებები, ტ. II, გვ. 305.

[4]) **მარქსი და ენგელსი.** თხზულებანი, ტ. XXI, გვ. 249.

[5]) „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი", გვ. 90.

[6]) **ლენინი.** ეკონომიკა და პოლიტიკა პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქაში. თხზულებანი, ტ. XXIV, გვ. 512.

[7]) **სტალინი.** ლენინიზმის საკითხები, გვ. 353.

[8]) **ლენინი.** თხზულებანი, ტ. XXIII, გვ. 213.

[9]) **სტალინი.** ლენინიზმის საკითხები, გვ. 600-601.

რევოლუციის გენიის მუზეუმი

(ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალის ერთი წლისთავისათვის)

ერთი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც ქართველი ხალხის საამაყო შვილის ლ. პ. ბერიას უშუალო ხელმძღვანელობით და თაოსნობით გაიხსნა რევოლუციის გენიის შესანიშნავი ძეგლი, მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის მძლავრი კერა — ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალი.

ვ. ი. ლენინის მუზეუმის 22 დარბაზში წარმოდგენილია ათასობით დოკუმენტები და მასალები, რომლებშიაც აღბეჭდილია დიდი ლენინის და მისი საუკეთესო მოწაფისა და თანამებრძოლის ი. ბ. სტალინის ცხოვრება და მოღვაწეობა, აღბეჭდილია ბოლშევიკური პარტიის გმირული ისტორია.

ვ. ი. ლენინის მუზეუმის პირველ დარბაზში თავმოყრილი დოკუმენტები მთელი სიზუსტით აღადგენენ მნახველში ლენინისა და სტალინის ბავშვობისა და ახალგაზრდობის წლებს, მათ შესანიშნავ ნიჭსა და ტალანტს სწავლაში, მათ პირველ რევოლუციურ ნათლობას. აქვე წარმოდგენილი დოკუმენტები მოწმობენ, რომ ვ. ი. ლენინი უკვე მთლიანად ჩაება რევოლუციურ მუშაობაში, ანადგურებს თავის თეორიულ შრომებში ნაროდნიკებს, „ლეგალურ მარქსისტებს" და „ეკონომისტებს", იკრებს თავის გარშემო საუკეთესო ძალებს და აერთიანებს ყველა მარქსისტულ მუშათა წრეს ერთ „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირად", ამზადებს ნიადაგს რევოლუციური მარქსისტული პარტიის შექმნისათვის რუსეთში. დოკუმენტები ნათლად მეტყველებენ, რომ „მარქსის არაჩვეულებრივად ღრმა ცოდნა, მაშინდელი დროის რუსეთის ეკონომიური და პოლიტიკური ვითარებისადმი მარქსიზმის მიყენების უნარი, მხურვალე, ურყევი რწმენა მუშათა საქმის გამარჯვებისადმი, შესანიშნავი ორგანიზაციული ნიჭი — ყოველივე ეს ლენინს პეტერბურგელი მარქსისტების აღიარებულ ხელმძღვანელად ხდიდა" (საკ. კ. პ. (ბ) ისტორია, გვ. 21).

პეტერბურგში ლენინის მთელი თეორიული, პრაქტიკული და ორგანიზატორული მუშაობა დაგვირგვინდა 1900 წ. დეკემბერში საზღვარგარეთ საერთო-სარუსეთო პოლიტიკური გაზეთის „ისკრის" დაარსებით. აქვეა წარმოდგენილი „ისკრის" პირველი ნომრები, ლენინის ბრძოლა „ისკრის" რედაქციაში ახალი ტიპის პარტიის პროგრამისა და წესდების შემუშავების დროს. და ეს რიგი დოკუმენტებისა თავდება ლენინის შესანიშნავი შრომის „რა ვაკეთოთ?" პირველი გამოცემით, რომელშიაც ლენინმა მოგვცა მარქსისტული პარტიის იდეოლოგიურ საფუძველთა გენიალური დამუშავება.

ლენინური „ისკრის" ნომრების გვერდით წარმოდგენილია თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის, მისი ლენინურ-ისკრული ჯგუფის პირველი არალეგალური გაზეთის „ბრძოლის" პირველი ნომრები. გაზეთი „ბრძოლა" სტალინის ხელმძღვანელობით აწარმოებდა ბრძოლასა და მუშაობას საქართველოში და ამიერ-კავკასიაში ისე, როგორც „ისკრა" მთელს რუსეთში.

რსდმპ მეორე ყრილობისადმი მიძღვნილი განყოფილება, რომელიც სავსეა ლენინის ხელნაწერებით, ჩანაწერებით და საოქმო დოკუმენტებით, დამაჯერებლად გადმოგვცემენ ლენინისა და ლენინელების პრინციპული ხასიათის ბრძოლას მენშევიკებისა და ყველა ჯურის ოპორტუნისტების წინააღმდეგ.

წარმოდგენილია ვ. ი. ლენინის ისეთი შრომები, როგორიცაა „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან", „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში", „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი" და სხვა მთელი რიგი შრომები და სტატიები, რომლებშიაც დიდი ლენინი იძლევა მარქსიზმის შემდგომ განვითარებას, აყალიბებს ბოლშევიკთა პარტიის იდეოლოგიურ, ორგანიზაციულ, ტაქტიკურ და თეორიულ საფუძვლებს. ასევე ვრცლადაა წარმოდგენილი მუზეუმში ი. ბ. სტალინის თეორიული სტატიები და შრომები: „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე", „ორი შეჯახება", „ანარქიზმი თუ სოციალიზმი", „წერილი კავკასიიდან" და სხვ., სადაც ამხანაგი სტალინი იძლევა მარქსიზმ-ლენინიზმის ბრწყინვალე გაშუქებას და იცავს ლენინიზმს ყველა ჯურის ოპორტუნისტების რევიზიონისტული შერყვნისაგან.

მუზეუმში შესანიშნავადაა წარმოდგენილი 1917 წლის 3 (16) აპრილს ლენინის დაბრუნება პეტროგრადში. ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით ლენინის შესახვედრად ფინეთის ვაგზალზე იკრიბება ათასობით მუშები, ჯარისკაცები და მეზღვაურები. აუწერელმა აღტაცებამ მოიცვა მასები, როცა ლენინი ვაგონიდან ჩამოვიდა. მათ ხელში აიტაცეს ლენინი და ისე შეიყვანეს თავისი ბელადი ვაგზლის დიდ დარბაზში.

ლენინი მთელი ენერგიით ებმება რევოლუციურ მუშაობაში, აქვეყნებს თავის განთქმულ აპრილის თეზისებს, რაზმავს მასებს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდისათვის.

სახელმწიფო ძალაუფლება საბჭოების ხელში გადავიდა. იწყება დაძაბული ბრძოლა ძალაუფლების შენარჩუნებისათვის. სამოქალაქო ომის პერიოდისადმი მიძღვნილი მასალები ზუსტად გადმოგვცემენ ბოლშევიკების პარტიის, ხალხის, წითელი არმიის გმირულ და სახელოვან ბრძოლას, რის შედეგადაც ზედიზედ ნადგურდებიან ქვეყნის შიგნით კონტრრევოლუციური პარტიების მიერ მოწყობილი კულაკური ამბოხებანი და იმპერიალისტური ქვეყნების ინტერვენცია.

დიდი ლენინისა და სტალინის მეთაურობით ქვეყანა შეუდგა დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენას. იქმნება ყველა ერთა ძმური ოჯახი — სსრკ.

ათასობით მშრომლები აქ, ლენინის მუზეუმში, ლენინისა და სტალინის დოკუმენტებზე, მასების რევოლუციური ბრძოლის მასალებზე სწავლობენ საკ. კ. პ. (ბ) გმირულ ისტორიას.

ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალმა თავისი მუშაობის ერთი წლის განმავლობაში დაიმსახურა უსაზღვრო სიყვარული მშრომელთა ფართო მასებში. დღეის რიცხვისათვის მუზეუმი ინახულა 141 ათასზე მეტმა მშრომელმა. ექსკურსიებზე მოდიან საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებიდან.

მრავალრიცხოვან დახასიათებებში, რომელთაც სწერენ მშრომელები შთაბეჭდილებათა წიგნში, ისინი გამოხატავენ უდიდეს კმაყოფილებას ვ. ი. ლენინის მუზეუმის გახსნით.

მუზეუმში სისტემატურად ეწყობა კონსულტაციები სხვადასხვა საკითხებზე, რასაც დაესწრო 13.000-მდე კაცი.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამხანაგ ლ. პ. ბერიას პირად მითითებებს ვ. ი. ლენინის მუზეუმის მუშაობის გარდასაქმნელად. ამხანაგ ლ. ბერიას მითითებათა საფუძველზე მოეწყო და გაიხსნა ქალაქ გორში დიდი სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გამოფენა. ვ. ი. ლენინის მუზეუმთან ამ დღეებში გაიხსნება ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიისადმი მიძღვნილი გამოფენა ლ. პ. ბერიას შესანიშნავი წიგნის მიხედვით.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებანი ახალ უდიდეს ამოცანებს აყენებენ ვ. ი. ლენინის მუზეუმის წინაშე, ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილება ავალებს ვ. ი. ლენინის მუზეუმს გარდაქმნას მუშაობა ბოლშევიკთა პარტიის XVIII ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე და ყრილობის მოწოდების სიმაღლეზე აიყვანოს პარტიის გმირული ისტორიის შესწავლისა და პროპაგანდის საქმე.

ვ. ლომაძე
ი. მირცხულავა

სანიმუშოდ ჩავატაროთ საკარმიდამო მიწების აზომვა

მიწის ამზომავი კომისიის მუშაობა თბილისის რაიონის დიღმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში 1 ივლისს.
ფოტო რ. აკოფოვისა

მიწის აზომვას კოლმეურნეობის თავმჯდომარე არ დასწრებია

დიღმის (თბილისის რაიონი) სასოფლო საბჭოში დროულად გაიშალა წინასწარი ახსნა-განმარტებითი მუშაობა კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებისა და აგრეთვე ერთპიროვნულ მეურნეთა და კოლმეურნეობების სხვა არაწევრთა მიწების აზომვის მოწყობის შესახებ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილების გასატარებლად. პარტიისა და მთავრობის დადგენილება დამუშავდა ბრიგადებში, ჯგუფებში და საერთო კრებებზე. რაიაღმასკომმა და პარტრაიკომმა დანიშნეს მიწის ამზომავი კომისიაც მტს-ის აგრონომის ამხ. ლ. ხუხუნაიშვილის თავმჯდომარეობით, ხოლო მზომავებად შერჩეულ იქნენ გამოცდილი და მოწინავე კოლმეურნეები. მაგალითად, ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში მიწის მზომავებად შერჩეულ იქნენ გიორგი ზანდარაშვილი და ასლან თეთრაშვილი, რომლებსაც წელს თვითეულს გამომუშავებული აქვს 200-მდე შრომადღე და საერთო ნდობით სარგებლობენ.

პარტიისა და მთავრობის დადგენილების შესაბამისად სასოფლო საბჭოში კომისიის წევრებისათვის 3 დღის განმავლობაში სწარმოებდა ინსტრუქტაჟი აზომვის ტექნიკის შესახებ. შედგენილ იქნა კალენდარული გეგმაც, თუ როდის და სად დაეწყოთ მუშაობა და სხვ.

მაგრამ ამ წარმატებებთან ერთად არის ნაკლოვანებანიც. მიწების ამზომავმა კომისიამ მინდვრად მუშაობა 1 ივლისს დილის 7 საათზე დაიწყო, მაგრამ 11 საათამდე რაიაღმასკომიდან არ მიუღია ცნობა იმის შესახებ, თუ კოლმეურნეთა საკარმიდამო მიწების რა ნორმებია დაწესებული ამა თუ იმ კოლმეურნეობისათვის, არ ჰქონდა კოლმეურნეთა სიებიც.

კომისიის მუშაობაში 1 ივლისს დილით თითქმის 4 საათის განმავლობაში მონაწილეობა არ მიუღია ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. დ. მარიამულს, რომლის ფართობიც ამ დღეს იზომებოდა. ამხ. მარიამულს დაავიწყდა უდიდესი პასუხისმგებლობა, რომელიც დაკისრებული აქვს მას, როგორც მიწის ამზომავი კომისიის წევრს. დილით მან სავაჭრო წერტში ხილი და ბოსტნეული წაიღო, შემდეგ კი სხვა სამუშაოზე წავიდა, ხოლო როცა დაბრუნდა, კომისია ისევ მალე მიატოვა და საღამომდე აღარ დაბრუნებულა. როგორც გამოირკვა, ამხ. მარიამულს მიწის ამზომავ კომისიაში სამუშაოდ საკუთარი ნება-სურვილით სარევიზიო კომისიის წევრი ამხ. ს. ყანდაშვილი გამოუყვია, რაც აშკარად ეწინააღმდეგება პარტიისა და მთავრობის დადგენილებას. კოლმეურნეობის თავმჯდომარის ამხ. მარიამულის დაუსწრებლად მიწის ამზომავმა კომისიამ 1 ივლისს 30-მდე კომლის საკარმიდამო ფართობი აზომა. ამხ. მარიამულის უპასუხისმგებლობის გამო, ეს ნაკვეთები მოითხოვს ხელახლა შემოწმებას კომისიის ყველა წევრის უშუალო მონაწილეობით აზომვაში.

ტრ. თოდრაძე

კმაყოფილებით ხვდებიან

სამტრედია (საკ. კორ.). 1 ივლისს დილის 6 საათზე მიწის ამზომავმა კომისიებმა დაიწყეს მუშაობა. კომისიებს პრაქტიკულ დახმარებას უწევენ პარტრაიკომის პლენუმისა და რაიაღმასკომის პრეზიდიუმის წევრები და კოლმეურნეები.

პირველ დღეს აზომვის საქმეში რაიმე დამახინჯებას ადგილი არ ჰქონია. ყველა კოლმეურნეობაში რაიაღმასკომის ამზომავ კომისიებს კმაყოფილებით ხვდებიან. საკარმიდამო მიწების აზომვა წარმატებით მიმდინარეობს.

გ. სიხარულიძე

შეუწყნარებელი უდარდელობა

თელავი, 1 ივლისი (საქდესი). თელავის რაიონში შექმნილია ამზომი 26 კომისია. კომისიების დასახმარებლად გამოყოფილია 52 გამოცდილი კოლმეურნე.

28 და 29 ივნისს ახმეტაში, თელავსა და ფშაველში შესდგა საინსტრუქტაჟო თათბირები, რომლებსაც დაესწრნენ კომისიის წევრები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები და ბრიგადირები.

აზომვა 1 ივლისიდან უნდა დაეწყოთ, მაგრამ თელავის რაიონში ეს ვადა დარღვეულია. საქართველოს მიწსახკომმა ბლანკები აზომვის აქტებისათვის მხოლოდ 1 ივლისს გადმოგზავნა. რაიონის სამომხმარებლო კავშირში აწყვია აზომვისათვის საჭირო ლენტები, მაგრამ მათ მიღებაზე თავს არავინ იწუხებს.

კედლის გაზეთების რედაქტორთა და კორესპონდენტთა რაიონული თათბირი

გაზ. „კომუნისტის“ და საქ. კ. პ. (ბ) ლაგოდეხის რაიკომის ინიციატივით 28 ივნისს ჩატარდა რაიონის საკოლმეურნეო კედლის გაზეთების რედაქტორთა და კორესპონდენტთა თათბირი. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის შედეგების შესახებ თათბირზე მოხსენება გააკეთა რაიონული გაზეთის „ბრძოლა თამბაქოსათვის“ რედაქტორმა ამხ. ა. საჯაიამ.

მოხსენების ირგვლივ კამათში მონაწილეობა მიიღო 12 კაცმა. მოკამათეები: მაჭარაშვილი, ბარძგალაძე, ბოჭორიშვილი, შუბითიძე, შუკაკიძე და სხვები ლაპარაკობდნენ იმ უდიდეს აღმავლობაზე, რომელიც გამოიწვია კოლმეურნეობებში პარტიისა და მთავრობის დადგენილების გაცნობამ.

მოკამათეებმა ილაპარაკეს აგრეთვე უხეშ დამახინჯებებზე, რომელთაც ადგილი აქვს რაიონის კოლმეურნეობებში, კერძოდ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განიავება-დატაცების, ცრუ-კოლმეურნეების და [illegible] წინააღმდეგ ბრძოლის დარგში.

თათბირზე გამოირკვა, რომ ზოგიერთი საკოლმეურნეო კედლის გაზეთი დღემდე ცუდად მუშაობს. მათ უმრავლესობას არ ჰყავს აქტივი, ისინი სისტემატურად არ გამოდიან და სხვ.

სოფ. აფენის კოლმეურნეობა „ლენინის ხსოვნაში“ პირველ მაისის შემდეგ არ გამოუშვიათ კედლის გაზეთი. ასეთივე მდგომარეობაა „ახალგაზრდა კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობაში, სოფ. ჩადუნიანის კოლმეურნეობა „წითელ დროშაში“ და ა. შ.

პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები ადგილებზე არასაკმარისად ხელმძღვანელობენ კედლის გაზეთის მუშაობას, არ უწყობენ ხელს თვითკრიტიკის ფართოდ გაშლას, ხოლო ზოგან სდევნიან კიდეც. მაგალითად, პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობაში რამდენიმე დღის წინათ ბ. გვალიამ ჩამოხია ბრიგადული გაზეთი, რომელშიაც ის გაკრიტიკებული იყო. პარტორგანიზაციას (პარტორგი—ს. ცეცხლაძე) კი ეს საკითხი დღემდე არ გაუხდია მსჯელობის საგნად.

თათბირზე სიტყვებით გამოვიდნენ საქ. კ. პ. (ბ) ლაგოდეხის რაიკომის მდივანი ამხ. ალ. მაცაბერიძე და გაზ. „კომუნისტის“ წარმომადგენელი ვ. მამალაძე.

აღნიშნა რა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა უდიდესი მნიშვნელობა, თათბირმა დასახა სათანადო ღონისძიებები.

პირველი დღის შედეგები

ზუგდიდი (ტელეფონით, საკ. კორ.). ზუგდიდის რაიონის მშრომელები პარტიისა და მთავრობის დადგენილებას საკარმიდამო ნაკვეთების აზომვის შესახებ დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ.

1 ივლისს აზომვა პრაქტიკულად დაიწყო. დილის 9 საათიდან მუშაობას შეუდგა 33 ამზომავი კომისია. ისინი მომარაგებული არიან ყველა საჭირო ხელსაწყოთი.

აზომვის პირველ დღეს გამოირკვა, რომ ზოგიერთ კოლმეურნეს საკარმიდამო ნაკვეთი სას.-სამ. არტელის წესდებით გათვალისწინებულ ნორმაზე მეტი აქვს. სოფელ ჭკადუაშის კოლმეურნეობის წევრს ქ. ჭითანავას აღმოაჩნდა 2,43 ჰექტარი მიწა, მაშინ როდესაც იგი ითვლებოდა უკარმიდამო კოლმეურნედ. ზედმეტი მიწა აღმოაჩნდა აგრეთვე კოლმეურნეობის წევრს ერმილე შილოხავას, რომელიც საკარმიდამო ნაკვეთს ორ ადგილას ჰფლობდა, ერთგან 1,2 ჰექტარს, ხოლო მეორე ადგილას — 2,25 ჰექტარს.

ზედმეტი მიწები აღმოაჩნდათ აგრეთვე სოფ. კახათის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის 5 წევრს.

კომისიების მუშაობა ორგანიზებულად მიმდინარეობს.

ს. ებრალიძე

აქტების ბლანკები და მოწმობები საჭირო რაოდენობით არ გაჩნიათ

გორი, 1 ივლისი (საკ. კორ.). საკარმიდამო მიწების აზომვისათვის დანიშნულმა კომისიებმა სასოფლო საბჭოების უმრავლესობაში უკვე დაიწყეს მუშაობა. ამ მუშაობას დილიდანვე შეუდგნენ ხურვალეთის, ატენის, გორისა და სხვ. სასოფლო საბჭოებში. მაგრამ მთელ რიგ ადგილებში კომისიებმა 1 ივლისს დროზე ვერ შესძლეს მუშაობის დაწყება სათანადო ხელსაწყო - მასალების უქონლობის გამო.

მიწების აზომვის პირველი დღის შედეგები მოწმობენ, რომ ბევრგან ამ საქმისათვის მომზადებული არ აღმოჩნდნენ.

1 ივლისს, დილის 11 საათზე, აქტების ბლანკები წაღებული არ ჰქონდათ შავშვების, ვარიანის, ქახვრელის, ქვემო-ნიქოზის სასოფლო საბჭოებში დანიშნულ კომისიებს, ხოლო სათანადო მოწმობები არ გააჩნდათ კომისიების თავმჯდომარეებს ბობნევის, მღებრიანის, ზემო-ახალსოფლის, დრეს და სხვ. სასოფლო საბჭოებში არსებული 18 კოლმეურნეობისათვის.

გორის რაიონმა 30 ივნისს მხოლოდ დღის 3 საათზე მიიღო აქტების ბლანკები და მოწმობები, ამასთან 50 მოწმობით იმაზე ნაკლები, რაც საჭირო იყო. ნუთუ საქმიწსახკომში არ იცოდნენ რამდენი კოლმეურნეობაა გორის რაიონში? დანაკლისი მოწმობების რემინგტონზე გამრავლებას რაიაღმასკომში მხოლოდ 1 ივლისს შეუდგნენ და ისიც საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლის ამხ. ნ. ჩარკვიანის მითითების შემდეგ.

ს. ყურაშვილი

დროულად დავამთავრებთ მიწების აზომვას

იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს რაიონში „კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებისა და აგრეთვე ერთპიროვნულ მეურნეთა და კოლმეურნეობების სხვა არაწევრთა მიწების აზომვის მოწყობის შესახებ“ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების რეალიზაცია საქდესის კორესპონდენტთან საუბარში აღბულაღ - მანგლისის რაიაღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. კ. ოდიკაძემ განაცხადა:

საკარმიდამო მიწების აზომვისათვის მზადება რაიონში დროულად დაიწყო. 23 ივნისს რაიკომის ბიუროსა და რაიაღმასკომის პრეზიდიუმის გაერთიანებულ სხდომაზე შერჩეულ და დამტკიცებულ იქნენ კომისიის თავმჯდომარეები რაიკომისა და რაიაღმასკომის პლენუმის წევრთაგან, რაიმიწგანისა და მტს-ის მიწისმზომელებისა და აგრონომთაგან. კომისიის წევრებად კი გამოყოფილი არიან სასოფლო საბჭოსა და სათანადო კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები.

რაიონში ჩატარებულ იქნა აგრეთვე კომისიის თავმჯდომარეებისა და კომისიის წევრების 2 დღიანი საინსტრუქტაჟო თათბირი. ინსტრუქტაჟის შემდეგ მოხდა აზომვის პრაქტიკული მეცადინეობა, რამაც დიდი დადებითი შედეგები მოგვცა. მოეწყო აგრეთვე კომისიების დასახმარებლად ადგილებზე გამოყოფილ კოლმეურნეთა სარაიონო თათბირი. საქმიწსახკომიდან ჩვენს რაიონზე მომაგრებულმა მიწისმზომელებმა თათბირის მონაწილეებს გააცნეს მიწის აზომვის ტექნიკა.

რაიონმა თავის დროზე გადადგა სათანადო ნაბიჯი რულეტებითა და აქტების ბლანკებით მიწის ამზომი კომისიების მოსამარაგებლად. ახლა მიწის ყველა ამზომავი კომისია მომარაგებულია საჭირო მასალებით.

რაიაღმასკომის მიერ მიწის ამზომ კომისიებს მიცემული აქვთ სათანადო ცნობები იმის შესახებ, თუ ამა თუ იმ კოლმეურნეობაში რა რაოდენობის საკარმიდამო მიწაა დაწესებული სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების თანახმად.

პირველ ივლისს რაიონის ყველა სასოფლო საბჭოს მიწის ამზომი კომისიები უკვე შეუდგნენ მუშაობას.

რაიონს ყოველგვარი შესაძლებლობა აქვს, რათა პარტიისა და მთავრობის დადგენილება საკარმიდამო მიწების აზომვის შესახებ მოცემულ ვადებში მაღალხარისხოვნად დაამთავროს. ჩვენ ამას უსათუოდ გავაკეთებთ. (საქდესი).

ხელსაწყოების მოლოდინში

ფოთი, 1 ივლისი (საქდესი). საკარმიდამო ნაკვეთების ამზომი კომისიები მოეწყო ქალადიდის, ყულევისა და პატარა ფოთის სასოფლო საბჭოებში. ყულევის კომისიის დასახმარებლად ამზომებად გამოყოფილი არიან გამოცდილი სტახანოველი კოლმეურნეები: ამხ. არსენ ქანთარია, რომელმაც ნახევარ წელიწადში 270 შრომადღე გამოიმუშავა, და რაჟდენ სიჭინავა, რომელმაც 150 შრომადღე გამოიმუშავა.

კომისიები არ არიან მთლიანად უზრუნველყოფილნი საზომი ხელსაწყოებით.

საქართველოს მიწსახკომს დღემდე არ გამოუგზავნია აქტების ბლანკები.

ამის გამო კომისიებს ვერ დაუწყიათ აზომვა.

ორი საათის დაგვიანებით

წულუკიძე (ტელეფონით საკ. კორესპონდენტისაგან). წულუკიძის რაიონში 1 ივლისს დაიწყო საკარმიდამო მიწების აზომვა.

ზოგ სასოფლო საბჭოში კომისიის თავმჯდომარეთა უპასუხისმგებლობის შედეგად აზომვა ფერხდება. გომის სასოფლო საბჭოში მიწების ამზომავი კომისიის თავმჯდომარე გ. აბესაძე ადგილზე დაგვიანებით გამოცხადდა, რის გამო მიწების აზომვა დღის 12 საათზე დაიწყო.

კუხის სასოფლო საბჭოში კომისიის თავმჯდომარემ კ. ჯიშკარიანმა ასაზომი ლენტი დაჰკარგა და ამიტომ კომისია მუშაობას 2 საათის დაგვიანებით შეუდგა.

ტ. ჩიქოვანი

მუშაობას არ შესდგომიან

სტალინირი, 1 ივლისი (საქდესი). მიწის ამზომი კომისიები მუშაობას არ შესდგომიან, რადგან ჯავისა და სტალინირის რაიმიწგანებს ჯერ არ მიუღიათ ბლანკები აზომვის აქტებისათვის.

კომისიის თავმჯდომარე ქალაქში დასეირნობს

(ჭიათურა, ტელეფონით საკ. კორესპონდენტისაგან)

ჭიათურის რაიონში საკარმიდამო მიწების აზომვისათვის შექმნილია 34 კომისია. კომისიის თავმჯდომარეებმა გაიარეს მოკლევადიანი კურსები.

1 ივლისს კომისიები პრაქტიკულად შეუდგნენ მიწების აზომვას. აღსანიშნავია, რომ ზოგ სასოფლო საბჭოში მიწების აზომვა დროზე არ დაუწყიათ. ხვანის სასოფლო საბჭოში კომისიის თავმჯდომარედ გამოყოფილი აკ. ლომიძე აზომვის პირველ დღეს ადგილზე საღამოთი გამოცხადდა. მან მიწების აზომვა მეორე დღისათვის გადასდო.

ცხომარეთის სასოფლო საბჭოს მიწების ამზომავი კომისიის თავმჯდომარე ან. წერეთელი 1 ივლისს ჭიათურიდან სოფლად ნაშუადღევს გაემგზავრა, რის გამო კომისიას ამ დღეს არცერთი მტკაველი მიწა არ გაუზომია.

ლ. ღოღაძე

ფართოდ გაიშალა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა

ბათუმი (ტელეფონით საკ. კორესპონდენტისაგან). ბათუმის რაიონში კოლმეურნეთა, ინდივიდუალურ მეურნეთა და კოლმეურნეობის სხვა არაწევრთა საკარმიდამო მიწების ასაზომავად 13 კომისიაა შექმნილი. 1 ივლისიდან კომისიები შეუდგნენ მუშაობას.

ურეხის სასოფლო საბჭოში კომისია აგრონომ გ. ღლონტის თავმჯდომარეობით და მ. კულუხიას და კ. გვასაბიძის შემადგენლობით, ორი გამოცდილი კოლმეურნის დახმარებით, დაზუსტებული სიების მიხედვით დილიდანვე შეუდგა კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა საკარმიდამო ნაკვეთების აზომვას.

ყველა კომისია მომარაგებულია რულეტებით და აქტების ბლანკებით. აზომვის სამუშაოებთან ერთად სოფლად ფართოდ გაიშალა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა მშრომელთა შორის.

კ. დობორჯგინიძე

გადაჭრით ვებრძოლოთ ანტისაკოლმეურნეო პრაქტიკას

(აფხაზეთი, საკ. კორესპონდენტისაგან)

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და სსრკ სახკომსაბჭოს 27 მაისის დადგენილების საფუძველზე აფხაზეთში გაიშალა მუშაობა კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების დაცვის საქმეში დაშვებული შეცდომების გამოსწორებისათვის.

აღნიშნული დადგენილების ფართოდ გაცნობამ რესპუბლიკის კოლმეურნეობებში გამოავლინა კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განიავების, ზოგიერთ კოლმეურნეთა უქნარობის და ამ დამახინჯებებისადმი ცალკეული პარტიული და საბჭოთა ორგანოების ოპორტუნისტული დამოკიდებულების ფაქტები.

ნორმაზე მეტი საკარმიდამო ნაკვეთის ქონა მთელ რიგ კოლმეურნეობებში წესად იყო ქცეული. ბევრია ისეთი კოლმეურნე, რომელსაც ერთნახევარი ჰექტარი საკარმიდამო ნაკვეთი აქვს (ოჩამჩირის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრები ჩ. კორტავა, ი. ნაჭყეპია და სხვ.). ხშირია ფიქტიური გაყოფის საშუალებით ან სხვა ხრიკებით კოლმეურნეობების მიწების დატაცების შემთხვევები. სოფელ მერხეულში (სოხუმის რაიონი) თვალის ასახვევად ცოლს გამოეყო კოლმეურნე ზ. ჯანაშია და ამ გზით ერთი ჰექტარი წაჰგლიჯა კოლმეურნეობას. კოლმეურნეობის თავმჯდომარე კვირკველია თვითონ არ გამოდიოდა კოლმეურნეობაში და ძირითადად თავის ნაკვეთში მუშაობას უნდებოდა. სოხუმის რაიონში არის 927 ისეთი კოლმეურნე, რომელთაც 1938 წელს ერთი შრომადღეც არ გამოუმუშავებიათ.

ზოგიერთი პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელები გვევლინებიან არა მარტო როგორც უძარღვო ოპორტუნისტები, არამედ აგრეთვე როგორც უშუალო მონაწილენი კოლმეურნეობათა საერთო მიწების დატაცებისა. მაგალითად, გუდაუთის რაიონის ლიხნის სოფლის საბჭოს თავმჯდომარე ნინუა თვალის ახვევის მიზნით გამოეყო თავის ძმას და კოლმეურნეობიდან მიიღო მეორე საკარმიდამო ნაკვეთი. ძმები ფაქტიურად ერთად ცხოვრობენ და ნაკვეთებსაც ერთად ამუშავებენ.

აფხაზეთის ასსრ ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოები უკვე ასწორებენ ამ დამახინჯებებს. 27 მაისის დადგენილების ფართო ახსნა-განმარტების შემდეგ კოლმეურნეთა გამოსვლა სამუშაოზე დიდად გაიზარდა. მარტო გალის რაიონში კოლმეურნეობების მინდვრებზე გამოსვლა დაიწყო 800-ზე მეტმა ისეთმა კოლმეურნემ, რომლებიც აქამდე თავს არიდებდნენ კოლმეურნეობებში მუშაობას თავიანთ საკარმიდამო ფართობებზე მუშაობით გადატვირთვის გამო.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ აქა-იქ მავნე ფუსფუსის გამო უშვებენ ახალ შეცდომებს. ოჩამჩირის პარტრაიკომმა და რაიაღმასკომმა დადგენილების გამოქვეყნებისთანავე გასცეს განკარგულება დაეწყოთ რაიონში ზედმეტი მიწების ჩამოჭრა და კოლმეურნეობების სარგებლობაში მათი გადაცემა. ეს „დირექტივა“ გამოჩნდა მაშინ, როცა ჯერ კიდევ მასებისათვის დადგენილების გაცნობა არ იყო დაწყებული. ზოგიერთ სოფლის საბჭოში კიდეც მიჰყვეს ხელი ამ საქმეს ყოველგვარი მოსამზადებელი მუშაობის ჩაუტარებლად, მაგრამ პარტიის აფხაზეთის ოლქკომის ჩარევის შემდეგ მდგომარეობა გამოსწორდა.

დიდი მუშაობა მიმდინარეობს კოლმეურნეთა დასასახლებლად აფხაზეთის უხვმიწიან რაიონებში. წალენჯიხის, აბაშის, ჩხოროწყუს და გეგეჭკორის რაიონებიდან აფხაზეთში ახლად დასახლებულია 597 კომლი. მათთვის ოჩამჩირის, გუდაუთის და გაგრის რაიონებში აშენდა სპეციალური სახლები. ახლად დასახლებული ადგილები სანიმუშოდ ეწყობა. ეს სოფლები სულ მალე გადაიქცევიან კეთილმოწყობილ საკოლმეურნეო სოფლებად. წელს გაიშალა მუშაობა დამატებით 650 ახალი სახლის ასაგებად. სწარმოებს ახალი ადგილების ათვისება გაგრასა, გუდაუთასა და ოჩამჩირეში. სამწუხაროდ, მშენებლობას ცუდად ამარაგებენ სოხუმის და დრანდის აგურის ქარხნები.

გ. მერკვილაძე

აფხაზეთი. სოხუმის რაიონის ვოლოდარსკის სოფლსაბჭოს ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის მე-4 ბრიგადის ბრიგადირი ვ. ვ. გრესმანი (სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კანდიდატი) ამოწმებს თამბაქოს სიმწიფეს შეტეხის წინ. (საქდესის ფოტოქრონიკა)

სტახანოველი კოლმეურნეები ეხმარებიან კომისიებს

ქუთაისი, 1 ივლისი (ტელეფონით საკ. კორესპონდენტისაგან) პარტიისა და მთავრობის დადგენილების საფუძველზე ქუთაისში უკვე დაიწყო კოლმეურნეთა, ინდივიდუალურ მეურნეთა და კოლმეურნეობების სხვა არაწევრთა საკარმიდამო მიწების აზომვა, რაიონში უკვე ჩატარებულია პერიოდული მოსამზადებელი მუშაობა.

შექმნილია მიწის ამზომი 28 კომისია. კომისიის თავმჯდომარეებად გამოყოფილი არიან ქალაქკომისა და ქალაქის საბჭოს პლენუმის წევრები.

კომისიის წევრებმა და მიწისმზომელებმა გაიარეს 40-საათიანი კურს-კონფერენცია. 29 ივნისს ჩატარდა პრაქტიკული მეცადინეობა მინდვრად. კოლმეურნეობები მომარაგებულია სანიშნო ბოძებით, მიწის მზომავები უზრუნველყოფილი არიან რულეტებით. კომისიებს ეხმარებიან სპეციალურად გამოყოფილი სტახანოველი კოლმეურნეები. ჩამოყალიბებულია 5 საკონსულტაციო პუნქტი კომისიების დასახმარებლად.

დღეს, 1 ივლისს, კომისიები შეუფერხებლად შეუდგნენ მიწების აზომვას. მუხიანის სასოფლო საბჭოს გარდა, ყველგან მიმდინარეობს მიწების აზომვა. სოფ. მუხიანის მიწის ამზომი კომისიის თავმჯდომარე ამხ. სტ. გურგენიძე არ გამოცხადდა სამუშაოზე. რაიმიწგანს არ გამოურკვევია ამხ. სტ. გურგენიძის გამოუცხადებლობის მიზეზი და არ მიუღია ზომები საქმის დროულად გამოსწორებისათვის.

განსაკუთრებული წარმატებით მუშაობენ სოფ. ოფშკვითის, გეგუთისა და ფარცხანაყანევის მიწის ამზომი კომისიები.

ეგ. გვასალია

კომისიები შეუდგნენ მუშაობას

ლანჩხუთი, 1 ივლისი (ტელეგრაფით საკ. კორ.). 1 ივლისს საკარმიდამო მიწების აზომვას შეუდგნენ რაიაღმასკომისა და რაიკომის მიერ დამტკიცებული კომისიები. კომისიების თავმჯდომარეებად გამოყოფილი არიან პარტრაიკომისა და რაიაღმასკომის წევრები, მიწისმზომელები და აგრონომები.

კომისიის წევრებს მიღებული აქვთ სათანადო ინსტრუქტაჟი, უზრუნველყოფილი არიან რულეტებით და სხვა საჭირო მასალით.

კოლმეურნეთა მასა უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა მიწის ამზომავი კომისიების მუშაობის დაწყებას. კოლმეურნეები ყოველგვარ დახმარებას უწევენ მათ.

ს. სარჯველაძე

ცრუ კოლმეურნეები

ყვარელი, სოფ. ენისლის კოლმეურნეობა „ცხოვრების წყაროში“ ბეჯით კოლმეურნეებთან ერთად არიან ცრუ კოლმეურნეებიც. კოლმეურნე ნინო პავლიაშვილი 3,3 ჰექტარ მიწას პატრონობს და მთელ დროს ამ მიწის დამუშავებას ანდომებს. ამავე კოლმეურნეობის წევრს ლაზო გურგენიშვილს შარშან არცერთი შრომადღე არ გამოუმუშავებია. პირად სარგებლობაში 2 ჰექტარი მიწა აქვს.

ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს მ. მედულაშვილს და ს. ხუციშვილს წელს მხოლოდ 13-17 შრომადღე აქვთ გამომუშავებული. სოფ. შილდის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში კ. მირიანაშვილს — 4 შრომადღე, ფ. ირემაშვილს — 15 შრომადღე. ისინი კოლმეურნეობაში მხოლოდ იმისათვის არიან, რომ კოლმეურნის უპირატესობით ისარგებლონ.

ახალსოფლის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ყუდრაშვილს ნორმაზე მეტი 0,25 ჰექტარი საკარმიდამო მიწა აქვს. კოლმეურნე ი. ცოკიაშვილს საკარმიდამო ნაკვეთი სანახევროდ იჯარით გაცემული აქვს კოლმეურნე ლ. თომაშვილზე. კოლმეურნე ს. დემეტრაშვილის 0,25 ჰექტარი ვენახს საზიაროდ რ. გრძელიშვილი უვლის. მათ წინააღმდეგ დღემდე მიღებული არ არის სათანადო ზომები.

ს. ხუტილაშვილი

მოსავლის აღებისათვის სუსტად ემზადებიან

(დუშეთი, ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან)

მოსავლის მასობრივი აღება დუშეთის რაიონში 10 ივლისიდან დაიწყება. რაიონის მთელი რიგი კოლმეურნეობები მოსავლის აღებისათვის სუსტად ემზადებიან. მაგალითად, ჭოპორტისა და ბაზალეთის კოლმეურნეობათა ორი ტრაქტორი, რომლებიც მოსავლის აღებისათვის უნდა იქნას გამოყენებული, შეუკეთებელია და ამ სამუშაოს დაწყებას ჯერჯერობით არავინ ფიქრობს. დუშეთის მტს-მა (დირექტორი—ი. კარიაული) კი აქამდე მის განკარგულებაში მყოფი ახლად შეკეთებული სამი კომბაინის მზადყოფნაც ვერ გააფორმა აქტით. აქტით არ არის მიღებული აგრეთვე ახლად შეკეთებული თვითმკვრელები.

მარცვლეულისათვის საჭირო საწყობების მშენებლობა ახალშენის, ქვემოშუახევის და მლაშის კოლმეურნეობებში დაუშვებლად ჭიანურდება და მოსალოდნელია ისინი მოსავლის აღებისათვის მზად არ იქნენ. ბაზალეთის კოლმეურნეობის საწყობი კი დაავადებულია მავნებლებით. ამ საწყობში დეზინფექცია ჯერ არავის ჩაუტარებია.

გრიგოლაანთკარის, საკრამულის, ინიანთკარის, მჭადისჯვრის, ახალშენის, ბაზალეთის და სხვა კოლმეურნეობებს საკმარისი რაოდენობით არა აქვთ ტარა.

ბაზალეთის სასოფლო საბჭოში შემავალ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებს მხედველობიდან გამორჩათ ისეთი „წვრილმანი“, როგორიცაა კანაფი, არცერთ კოლმეურნეობას კანაფი შეძენილი არა აქვს, რის გამო თვითმკვრელების მუშაობას შეფერხება მოელის.

მჭადისჯვრის და დ. ჭონქაძის სახელობის სასოფლო საბჭოებში შემავალ კოლმეურნეობებს დღემდე შეუკეთებელი აქვთ საკოლმეურნეო მინდვრებში მისასვლელი გზები და ხიდ-ბოგირები.

რაიონში ძალიან ჩამორჩა ანეულის კულტივაცია. მართალია, ანეულის ხვნის გეგმა რაიონმა გადაჭარბებით შეასრულა (მოხნა 720 ჰექტარზე მეტი), მაგრამ კულტივაცია არ ჩაუტარებია არცერთ ჰექტარზე. ამის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ მტს-მა კულტივატორებისა და ტრაქტორების დროულად შეკეთება ვერ უზრუნველჰყო.

ა. თომაძე

მდგომარეობა ტიანძინში

ტოკიო, 29 ივნისი (საკდესი). მომავალი კვირის დამდეგს ტოკიოში დაიწყება ინგლის-იაპონიის მოლაპარაკება ტიანძინის პრობლემის მოგვარების შესახებ. ინგლისის მხრივ მოლაპარაკებას აწარმოებენ ინგლისის ელჩი ტოკიოში კრეიგი და ინგლისის კონსული ტიანძინში ჰერბერტი. იაპონიის მხრივ მონაწილეობას მიიღებენ საგარეო საქმეთა მინისტრი არიტა, იაპონიის კონსული ტიანძინში ტანაკა და იაპონიის ტიანძინელ სამხედრო ხელისუფალთა წარმომადგენლები.

○

ლონდონი, 30 ივნისი (საკდესი). ბრიტიშ იუნაიტედ პრესის სააგენტოს გადმოცემით, იაპონიის გარნიზონის სარდალმა ტიანძინში გამოაცხადა, რომ 1 ივლისიდან იმ პირთ, რომელთაც ინგლისის კონცესიის ტერიტორიაზე მისვლა სურთ, შეუძლიათ გაიარონ მხოლოდ ერთ ადგილას. კონცესიაში წასვლისა და იქიდან დაბრუნების საათები შემცირებულ იქნება.

○

ტოკიო, 30 ივნისი (საკდესი). დომეი ცუსინის სააგენტოს ტიანძინელი კორესპონდენტი იუწყება, რომ იაპონიის ხელისუფლებამ გადასწყვიტა 1 ივლისიდან გააძლიეროს ყველა იმათი პირადი გაჩხრეკა და გამოკითხვა, რომლებიც ინგლისის კონცესიის ტერიტორიაზე მიდიან ან ამ ტერიტორიას სტოვებენ. ამგვარად, ინგლის-იაპონიას შორის ტოკიოში წარმოებული მოლაპარაკების მიუხედავად, იაპონიის ხელისუფალნი ტიანძინში კიდევ უფრო მძიმე პირობებს უქმნიან ინგლისის ქვეშევრდომებს. ეჭვს გარეშეა, რომ იაპონელები ამ ღონისძიებას მიმართავენ იმ მიზნით, რათა ზეგავლენა მოახდინონ ინგლისის მთავრობაზე მოლაპარაკებასთან დაკავშირებით.

○

ლონდონი, 30 ივნისი (საკდესი). ლონდონის ოფიციალურ წრეებში უარჰყოფენ დომეი ცუსინის იაპონიის სააგენტოს ცნობას, თითქოს ინგლისის მთავრობა დასთანხმდა გადასცეს იაპონელებს ოთხი ჩინელი, რომელთაც ბრალად ედებათ იაპონელი რეზიდენტის მოკვლა ტიანძინში.

აჯანყება მარიონეტული „მთავრობის" ჯარში

ჩუნცინი, 29 ივნისი (საკდესი). სენტრალ ნიუსის სააგენტო ჩანშიდან იუწყება, რომ 25 ივნისს ცისიანის რაიონში (ხუბეის პროვინციის აღმოსავლეთ ნაწილში) აჯანყდა მარიონეტული „მთავრობის" რაზმი. აჯანყებულებმა ხელთ იგდეს ორი მორტირი, 10 ტყვიამფრქვევი და 100-ზე მეტი შაშხანა და თავის მეთაურთან ლი ხან-პენთან ერთად ამ რაიონებში მომქმედი ჩინელი პარტიზანების მხარეზე გადავიდნენ.

პროვინციის ამავე ნაწილში იაპონელთა წინააღმდეგ აჯანყდა იაპონელთა მიერ მობილიზებული ჩინელების მეორე რაზმი, რომელიც 200 კაცისაგან შესდგებოდა, ეს რაზმიც ჩინელ პარტიზანებს შეუერთდა.

ამ დღეებში ცუნხუას რაიონში (კანტონის ჩრდილო-აღმოსავლეთით) აგრეთვე აჯანყდა მარიონეტული „მთავრობის" რაზმი, რომელიც ჩინეთის ჯარებს შეუერთდა.

ინგლისის მემორანდუმი გერმანიისადმი

ლონდონი, 29 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ინგლისის ბერლინელმა ელჩმა გერმანიის მთავრობას გადასცა მემორანდუმი გერმანიის მიერ ინგლის-გერმანიის 1935 წლის საზღვაო შეთანხმების დარღვევის გამო. მემორანდუმში ნათქვამია, რომ გერმანიის მთავრობას არ ჰქონდა საფუძველი დაერღვია ეს შეთანხმება.

ინგლისის მთავრობას, ნათქვამია მემორანდუმში, არ აქვს განზრახვა შეზღუდოს გერმანიის ვაჭრობის განვითარება. გერმანიისათვის უკვე საგრძნობლად გაადვილებულია პირობები, რათა იგი მისწვდეს ნედლეულის წყაროებს. ინგლისის მთავრობა მზად არის განიხილოს შემდგომი ღონისძიებანი გერმანიის ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად „თუ უზრუნველყოფილ იქნება ურთიერთობა და კეთილი სურვილი".

აღნიშნავს რა, რომ შეთანხმება არ ითვალისწინებდა ამ შეთანხმების ცალმხრივ დარღვევას, მემორანდუმი აცხადებს, რომ „თუ გერმანიის მთავრობა ამიერიდან უკვე თავისთვის სავალდებულოდ აღარ სთვლის ამ შეთანხმებით დაწესებულ 35 პროცენტიან ლიმიტს, მაშინ ინგლისის მთავრობაც არ სთვლის თავისთვის სავალდებულოდ სამხედრო-საზღვაო მშენებლობის წინანდელ გეგმებს, რომლებიც ახლა გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს."

მემორანდუმში შემდეგ ნათქვამია, რომ ინგლისის მთავრობა მზად არის განიხილოს ახალი შეთანხმების დადების შესაძლებლობა, თუ გერმანიის მთავრობას განზრახვა აქვს დაიწყოს ასეთი მოლაპარაკება, და რომ ინგლისის მთავრობას „სურდა აგრეთვე სცოდნოდა როდის უნდა დაიწყოს, გერმანიის მთავრობის აზრით „ეს მოლაპარაკება".

ველინგტონ კუს გამოსვლა

ლონდონი, 30 ივნისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ჩინეთის პარიზელმა ელჩმა ველინგტონ კუმ, რომელიც ლონდონში ჩამოვიდა, 28 ივნისს სიტყვა წარმოსთქვა „სამეფო საზოგადოების" სხდომაზე. ველინგტონ კუმ განაცხადა, რომ 1937 წლის შემდეგ უცხოელთა ვაჭრობა ჩინეთის ტერიტორიაზე, რომელიც „ოკუპირებულია" იაპონელების მიერ, ძალიან შემცირდა. მაგალითად, საფრანგეთის ვაჭრობის წილი 8,5-დან 1 პროცენტამდე და კიდევ უფრო მეტად შემცირდა. ამერიკის ვაჭრობა 22-დან 18 პროცენტამდე შემცირდა, ხოლო ინგლისის ვაჭრობა—8-დან 5,5 პროცენტამდე. სათანადოდ შემცირდა აგრეთვე სხვა ქვეყნების ვაჭრობის წილი.

ამავე პერიოდში იაპონიამ ამ ტერიტორიაზე თავისი ვაჭრობა 6,5-დან 38,5 პროცენტამდე გაადიდა.

მდგომარეობა დანციგში

ვარშავა, 30 ივნისი (საკდესი). გაზეთები იუწყებიან დანციგის ხელისუფალთა ახალ სამხედრო ღონისძიებების შესახებ, რომლებიც მოწმობენ, რომ ამბები ბერლინის პირდაპირი მითითებით მზადდება.

გაძლიერებული ტემპებით მიმდინარეობს მზადება „მოხალისეთა კორპუსის" შესაქმნელად. ამ კორპუსის დასაბინავებლად განთავისუფლებულია მთელი რიგი შენობები. ჰქმნიან პროდუქტების მარაგს. დანციგის თითქმის ყველა მკერავი სამხედრო ტანსაცმელს ჰკერავს.

„გაზეტა პოლსკა" იუწყება, რომ დანციგის ტერიტორიაზე დაიწყო საზენიტო არტილერიის დადგმა.

„ზღვის დღეებთან" დაკავშირებით, რაც პოლონეთში ტარდება, დანციგელ ფაშისტთა ოფიციალური ორგანო „დანციგერ ფორპოსტენი" აცხადებს, რომ „დანციგის ძალა გერმანიის არმიაში მდგომარეობს" და რომ ახლანდელი მომენტი მოითხოვს „ძლიერ ნერვებს", განსაკუთრებით უახლოეს კვირეებში.

○

ლონდონი, 30 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო ვარშავიდან გადმოგვცემს, რომ გრძელდება აღმოსავლეთ პრუსიიდან დანციგში იარაღის მიტანა და დამხმარე ძალების მიყვანა, გუშინ ღამით დანციგში გადატვირთეს 16 საარტილერიო ქვემეხი, რომლებიც შემდეგ ტრაილერებით გადაზიდეს დანციგის დასავლეთ ნაწილში. ბიშოფსბერგის მთაზე დანციგის ხელისუფალნი სასწრაფო წესით აგებენ ბეტონის მოედნებს საარტილერიო ქვემეხებისათვის. ბიშოფსბერგი გარშემორტყმულია პოლიციითა და მოიერიშეებით. იქ შესვლა აკრძალულია.

გერმანია იარაღს აწვდის ჩინეთს

ლონდონი, 29 ივნისი (საკდესი). ჰონკონგელ კორესპონდენტთა გადმოცემით, 26 ივნისს ინგლისის კოლონიის უმაღლეს სასამართლოში გარჩეულ იქნა გერმანიის ადგილობრივი ფირმის „აუგსბურგის" საჩივარი იმ გადაწყვეტილების გამო, რომელიც ქვემდგომმა ინსტანციამ ჩინეთის სასარგებლოდ გამოიტანა. ჩინეთის მთავრობამ ამ ფირმას სასამართლოში უჩივლა, რომ მის მიერ ჩინეთის მე-4 არმიისათვის მიწოდებული 10 ათასი გერმანული აირწინაღი უვარგისი გამოდგა.

როგორც ჩვენებებიდან გამოირკვა, „აუგსბურგის" ფირმას, ამას გარდა, ჩინეთისათვის მიუწოდებია კრუპის ქარხნის მიერ დამზადებული 8 ათასი 75-მილიმეტრიანი ყუმბარა. მოწმეებმა აჩვენეს, რომ უკანასკნელ დროს გაიზარდა გერმანული იარაღისა და საბრძოლო მასალების მიწოდება ჩინეთისათვის.

„დეილი ექსპრესის" კორესპონდენტმა ჩინური წყაროებიდან შეიტყო, რომ მთელი იმ ყუმბარების, ვაზნების, მორტირების, ტანკეტებისა და რევოლვერების ნახევარზე მეტი, რაც ჩინეთში მოდის ჩინეთის არმიის საჭიროებისათვის, ჰამბურგიდან იგზავნება.

გერმანიის ჯარის კონცენტრაცია დასავლეთის საზღვარზე

ლონდონი, 30 ივნისი (საკდესი). გაზეთი „ნიუს ქრონიკლი" იუწყება, რომ საფრანგეთის საზღვრის მახლობლად, უმთავრესად კელსა და კარლსრუეში გრძელდება გერმანიის არმიის დიდძალი ჯარის კონცენტრაცია. ამ ადგილას 28 ივნისს, საღამოს, 6 პოლკი ჩავიდა. საარის ოლქში 20 ათასი ჯარისკაცი ჩავიდა ბავარიიდან. უკანასკნელი 2 დღის განმავლობაში ტრირში (რეინის ოლქი) ჩავიდნენ 30 ათასი კაცისაგან შემდგარი მოტორიზებული ნაწილები.

გალდერის ჩასვლა ფინეთში

ჰელსინკი, 29 ივნისი (საკდესი). დღეს ტალინიდან ჰელსინკში თვითმფრინავით მოფრინდა გერმანიის არმიის გენერალური შტაბის უფროსი გენერალი გალდერი ოფიცერთა მთელი ამალის თანხლებით. აეროდრომზე მას შეხვდნენ გენერლები — ესტერმანი, მალმბერგი და ფინეთის არმიის სხვა უმაღლესი ხარისხის მქონე ოფიცრები. ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული. დილით გალდერმა ინახულა პრეზიდენტის მოვალეობის ამსრულებელი პრემიერი კაიანდერი, რომელმაც მას ფინეთის ორდენი გადასცა.

მზადება ინგლისის არმიაში დამატებითი გაწვევისათვის

ლონდონი, 30 ივნისი (საკდესი). გაზეთ „დეილი მეილის" გადმოცემით, გავლენიანი კონსერვატორები მოითხოვენ, რათა ჩემბერლენმა მოამზადოს ახალი კანონპროექტი არმიაში დამატებითი გაწვევის შესახებ. კონსერვატორები მოითხოვენ გაწვეულ იქნას არმიაში ყველა მამაკაცი 24 წლის ასაკამდე.

თუ ეს პროექტი მიღებულ იქნა არმიაში იმ 200.000 ახალწვეულის დამატებით, რომლებიც გაწვეული არიან თანახმად საყოველთაო სამხედრო ბეგარის კანონისა, გაწვეულ იქნება კიდევ 800.000 კაცი.

გაზეთის ცნობებით, სამხედრო სამინისტრომ უკვე შეიმუშავა არმიაში დამატებითი გაწვევის გეგმები.

მოკლე ცნობები

(საკდესის მასალების მიხედვით)

⊙ ინგლისში დაიწყო მზადება პარლამენტის მომავალი საყოველთაო არჩევნებისათვის. არჩევნების ჩატარება განზრახულია 22 ოქტომბრიდან ერთი კვირის განმავლობაში. პარლამენტის დათხოვნას 4 ოქტომბრიდან მოელიან.

⊙ ბრენერზე გავლით იტალიიდან ინსბრუკში, ველსა და ვენაში დიდი რაოდენობით იგზავნება რკინიგზის მოძრავი შემადგენლობა. ავსტრიელ რკინიგზელთა აზრით ავსტრიაში რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის კონცენტრაციის მიზანია გერმანიის ჯარის გაგზავნა იტალიაში ომის შემთხვევისათვის.



საგურამო. საქართველოს საბჭოთა მწერლების შემოქმედების სახლი
სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): სასტუმრო ოთახი ილიასეულ სახლში, ილიასეული სახლის ახლად შეკეთებული ფასადი, დასასვენებელი ოთახი.

ფოტო რ. აკოფოვის

შევჩენკოს თეატრის გასტროლები

„გული ნებას მიუშვი—მონობაში ჩაგაგდებს"

მ. ლ. კროპივნიცკი (1840-1910) უკრაინული თეატრისა და დრამატურგიის ერთერთი ფუძემდებელთაგანია. დიდად ნიჭიერი და მრავალფეროვანი მსახიობი, იგი იმავე დროს იყო გამოჩენილი დრამატურგი და უკრაინული თეატრის დამაარსებელი. კროპივნიცკი კარგად იცნობდა უკრაინულ ფოლკლორს, ხალხის ზნეჩვეულებას, და ამ დიდ ცოდნას უხვად იყენებდა თავის პიესებში.

„გული ნებას მიუშვი—მონობაში ჩაგაგდებს" კროპივნიცკის პირველი პიესაა. იგი დაიწერა 1862 წელს, ხოლო სცენაზე დაიდგა 1873 წელს. მას შემდეგ იგი უკრაინული თეატრების სცენიდან არ მოხსნილა. 30 ივნისს ეს პიესა გვიჩვენა შევჩენკოს თეატრმა.

პიესის თემა სიყვარული და მეგობრობაა. ღარიბ სიმონს უყვარს ობოლი გოგონა ოდარკა. მათ სიყვარულს მფარველობს სიმონის ძმადნაფიცი ღარიბი ივანე. იმავე სოფელშია კულაკის შვილი ნიკიტა, თავხედი, გარყვნილი, მოქეიფე.

მსახ. ვ. ჩისტიაკოვა ოდარკას როლში

○

ნიკიტას მარუსია უყვარდა, მაგრამ მასზე გული აიცრუა და ახლა ლამაზ ოდარკას გადაეკიდა. სიმონი ქორწილისათვის ემზადება. ნიკიტა დაემუქრა—ეს ქორწილი არ შესდგებაო. ქორწილის დღეს ნიკიტამ ცეცხლი წაუკიდა სიმონის ქოხს. მარუსია, რომელსაც ნიკიტა გაგიჟებით უყვარდა, ჭკუაზე შეიშალა. სიმონი და ოდარკა ხანძრისაგან ნახევრად განადგურებულ ქოხში ცხოვრობდნენ. მაგრამ მათ ბედნიერებას ახალი საფრთხე მოელის: სიმონს ჯარში იწვევენ. ისევ მეგობარმა ივანემ იხსნა: სიმონის ნაცვლად იგი წავიდა ჯარისკაცად, გავიდა ხანი. ივანე დაბრუნდა ომიდან, სადაც მან ცალი ფეხი დასტოვა. ნიკიტა ამდენხანს არ სჩანდა. იმავე ღამეს იგი ეტაპით ჩამოაყვანეს სოფელში და სიმონს, როგორც ასისთავს ჩააბარეს. სიმონმა და ოდარკამ შეიცოდეს ნიკიტა, რომელსაც აღარც მშობლები ჰყავდა და აღარც სიმდიდრე ჰქონდა, თავის ქოხში მისცეს ბინა. გაბოროტებულმა ნიკიტამ ღამით სიმონის მოკვლა განიზრახა, მაგრამ ივანემ შეუშალა ხელი. სიმონის მაგიერ ნიკიტას ივანე შემოაკვდა. ნიკიტა კვლავ დააპატიმრეს.

ეს მელოდრამატიული ამბავი გაშლილია უკრაინის მშვენიერი ბუნების ფონზე. სპექტაკლის ავტორებმა (დამდგმელი **მ. კრუშელნიცკი**, რეჟისორი **რ. ჩერკაშინი**, მხატვარი **ვ. გრეჩენკო**, ტანსაცმელი **მ. ბურაჩეკისა**, მუსიკა **კრიჟანოვსკისა**) ფართოდ გამოიყენეს უკრაინული ფოლკლორი. „ვეჩორნიცი" ცეკვებით, სიმღერებით, ნიშნობა და ქორწილი გაკეთებულია თვალწარმტაცი ფერადოვნობით. განსაკუთრებით დიდ შთაბეჭდილებას ახდენს პირველი მოქმედების დასაწყისი და მესამე მოქმედება. სპექტაკლში ორგანიულად არის ჩაქსოვილი კრიჟანოვსკის მშვენიერი მუსიკა, აგებული უკრაინული ხალხური მუსიკის მელოდიებზე.

შევჩენკოს თეატრის ნიჭიერმა კოლექტივმა ამ სპექტაკლში მთელი თავისი მდიდარი შესაძლებლობა გვიჩვენა. უპირველეს ყოვლისა უნდა შევჩერდეთ ივანე ნეპოკრიტის შემსრულებლის — თვით **მ. კრუშელნიცკის** თამაშზე. კროპივნიცკის ეს როლი სრულქმნილად აქვს დაწერილი. ასევე სრულქმნილად განასახიერა ივანე კრუშელნიცკიმ. მსახიობი კარგად ცეკვავს, უკრავს სალამურზე, სიცოცხლე შეაქვს სცენაზე, გაჭირვებასაც კი ხუმრობით, მხიარულებით ხვდება ივანე. იგი ღარიბია, მაგრამ გული აქვს მდიდარი. მეგობრებისათვის, მათი ბედნიერებისათვის ჯარისკაცად მიდის, ფეხს დაჰკარგავს, ბოლოს სიცოცხლესაც შესწირავს და ყველაფერი ეს ისეთი დამაჯერებლობითაა განსახიერებული სცენაზე, რომ მაყურებლის მხურვალე ოვაციებს იმსახურებს

ჩვეულებრივ მომხიბვლელი იყო **ვ. ჩისტიაკოვა** ოდარკას როლში. ნაზ ლირიულ ტონებში ჩაატარა მან ეს როლი. მისი ოდარკა მოსიყვარულე, პატიოსანი, კეთილი ქალია. მსახიობს როლი დამუშავებული აქვს უმცირეს დეტალებამდე და ასე გულწრფელად თამაშობს, რომ გჯერა მისი ცრემლებიც და სიცილიც.

ს. ფედორცევამ (მარუსია) მოგვცა სიყვარულით გატაცებული ქალის დასამახსოვრებელი სახე. განსაკუთრებით მომხიბვლელი იყო იგი მეოთხე მოქმედებაში, როცა ჭკუაზე შეშლილი დაეხეტება ქუჩა-ქუჩა.

სწორად განასახიერეს როლები **ა. სერდიუკმა (ნიკიტა)** და **დ. ანტონოვიჩმა** (სიმონი). „ვეჩორნიცი" სარეცენზიო სპექტაკლში გაცილებით უფრო დამაჯერებლად და მრავალფეროვნად არის მოცემული, ვიდრე „ნაზარ სტოდოლიაში". საერთოდ სპექტაკლი მაღალმხატვრული ოსტატობით არის შესრულებული და თეატრის საგასტროლო რეპერტუარში ერთერთი უძლიერესი დადგმათაგანია.

გრ. ნუცუბიძე

რესპუბლიკური სათეატრო თათბირი

საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველო 10 ივლისს თბილისში იწვევს რესპუბლიკურ თათბირს სათეატრო საკითხებზე. თათბირზე მოწვეული არიან თეატრების დირექტორები, სამხატვრო ხელმძღვანელები, რეჟისორები, დრამატურგები, მხატვრები და ბუხჰალტრები.

თათბირი განიხილავს შემდეგ საკითხებს:

1) თეატრალური სეზონის შედეგები და მომავალი სეზონის ამოცანები (მომხსენებელი—ამხ. ბ. გოგუა);

2) საქ. საკოლმეურნეო თეატრების დათვალიერების შედეგები (მომხსენებელი — რესპ. დამს. არტ. ვ. ნინიძე);

3) ინფორმაცია რეჟისორთა საკავშირო კონფერენციის შესახებ (ამხ. ლ. ესაკია).

თათბირი გაიხსნება ხელოვნების მუშაკთა სახლში (მახარაძის ქ. № 8).

ძლიერი წვიმა თბილისში

გუშინ, ღამის 12 საათზე, თბილისში მოვიდა ძლიერი წვიმა. ნახევარი საათის განმავლობაში კოკისპირულად წვიმდა. წვიმას თან მოჰყვა დიდი ნიაღვრები. დავითის მთის კალთებიდან ჩამოსული წყალი, რომელმაც თან ჩამოიტანა დიდძალი ლამი და ხრეში, ველარ გაეტია კოლექტორებში, გადავიდა და დაჰფარა ცენტრალური ქუჩები. ლენინის ქუჩაზე კარგა მოზრდილი მდინარე მიდიოდა. ჭავჭავაძისა და წულუკიძის ქუჩებიდან ჩამოსულმა წყალმა დაჰფარა რუსთაველის პროსპექტზე ფილაქანი ბესიკისა და წულუკიძის ქუჩებს შუა. ტრამვაისა და ტროლეიბუსების მოძრაობა შესწყდა. დიდი ნიაღვარი ჩამოვიდა არსენალის მთიდან და დაჰფარა საბჭოს ქუჩა, სადაც აგრეთვე შესწყდა ქალაქის ტრანსპორტის მოძრაობა.

პირველი საათისათვის ნიაღვარმა გაიარა, ქუჩები გაწმინდეს და მოძრაობა აღდგენილ იქნა.

მწერალთა შემოქმედების სახლი საგურამოში

ჯერ კიდევ მცხეთის გზიდან, მტკვრის გაღმა ნაპირიდან მშვენივრად მოსჩანს თეთრად მოკიაფე ობელისკი, აღმართული ქართული ლიტერატურის დიდი კლასიკოსის ილია ჭავჭავაძის ვერაგულად მოკვლის ადგილზე.

აღმართულა იგი, ილიას ბარელიეფით შემკული, საგურამოსა და წიწამურის გზაჯვარედინზე და ყოველ გამვლელს ესიტყვება წარწერით:

„დაე, თუნდ მოვკვდე, არ მეშინიან,
მაგრამ-კი ისე, რომ ჩემი კვალი
ნახონ მათ, ვინც ჩემს უკან ვლიან,
თქვან:—„აღასრულა მან თვისი ვალი".

აქედან უკვე გზა პირდაპირ მიიმართება საგურამოსაკენ. რარიგ უყვარდა ილიას საგურამო! რა მშვენიერ ადგილსა ჰქონდა აშენებული თავისი დიდი სამსართულიანი ქვიტკირის სახლი! ამ სახლის მესამე სართულში ილიას სამუშაო ოთახი ჰქონდა. აქედან, მესამე სართულის აივნიდან თვალწინ გადაშლილია არაგვის წარმტაცი ხეობა. სახლის უკან აზიდულა დიდი თავკარავიანი კაკლის-ხე. იქვე, მის ქვეშ გადმოჩუხჩუხებს ანკარა, ცივი წყარო, მილებით წამოყვანილი ზედაზნის მთიდან.

აქეთკენ, თავის საგურამოსკენ მიაშურებდა ხოლმე ილია, როცა კი დროს იშოვნიდა. აქ ისვენებდა ილია სულითა და გულით, აქ ეძლეოდა იგი შემოქმედებითს მუშაობას.

ახლა ილიასეულ მამულში საბჭოთა მწერლების კავშირის ლიტფონდის მიერ გახსნილია საქართველოს საბჭოთა მწერლების შემოქმედების სახლი. ილიასეული სახლი ახლად შეკეთებულია, წესრიგშია მოყვანილი საკარმიდამო ნაკვეთი ბოსტნით, ხეხილის ბაღით, ვენახით. ქვედა სართულში მოწყობილია საბილიარდო, სამკითხველო და სასადილო. ზედა ორ სართულში დასასვენებელი ოთახებია. ერთდროულად აქ მივლინებული იქნება ლიტფონდის საგზურებით 12 მწერალი, ერთი და ორი თვით.

ყოველგვარი პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ აქ, ილიასეულ მშვენიერ მამულში მწერალმა იმუშაოს მშვიდად, მოგვცეს ლიტერატურული შრომის საუკეთესო ნიმუშები.

ოპერა „დეპუტატი"

კომპოზიტორი შალვა თაქთაქიშვილი სწერს ახალ ქართულ ოპერას საბჭოთა ქალის თემაზე. ლიბრეტო დაწერილია დრამატურგ გიორგი თაქთაქიშვილისა და რეჟისორ ალ. თაყაიშვილის მიერ. ოპერის პირობითი სახელია „დეპუტატი".

ოპერა მთლიანად მზად იქნება და ჩაბარდება თბილისის საოპერო თეატრს ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის 22 წლისთავზე.

ფეხბურთი

თბილისის „დინამომ" წააგო ლენინგრადის „დინამოსთან"

ლენინგრადი, 1 ივლისი (ტელეგრაფით ჩვენი საკ. კორ.). 30 ივნისს ლენინის სახელობის სტადიონზე შესდგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. თამაშობდნენ თბილისის „დინამოს" და ლენინგრადის „დინამოს" გუნდები. თბილისელები თავიანთ შესაძლებლობაზე გაცილებით უფრო ცუდად თამაშობდნენ, ხშირად აცდენდნენ უტყუარ ბურთებს. მატჩი დამთავრდა ანგარიშით 3:2 ლენინგრადელთა სასარგებლოდ.

არტეკი

(14 წლისთავის გამო).

ზაფხულობით ჩვენი ქვეყნის ბედნიერი ბავშვები მიდიან ქალაქებიდან და სოფლებიდან პიონერბანაკებში. მდინარეების, ზღვებისა და ტბების თვალწარმტაც ნაპირებზე აგებულია შესანიშნავი სანატორიუმები. უკვე 1937 წელს მთელს საბჭოთა კავშირში იყო 8.151 პიონერბანაკი, სადაც ისვენებდა 760 ათასი ბავშვი, 1938 წელს კი პიონერბანაკების რიცხვი თითქმის ერთიორად გაიზარდა: 11.732 პიონერბანაკში 1.787.852 ბავშვი ისვენებდა.

ამ პიონერბანაკებს შორის ერთი საუკეთესოთაგანია „არტეკი", რომელსაც ა. წ. 1 ივლისს შეუსრულდა 14 წლისთავი.

არტეკი—მოწინავე პიონერბანაკია და ერთი უკეთესთაგანი თავისი გამაჯანსაღებელი და აღმზრდელობითი მუშაობით. აქ დასასვენებლად, კუნთების გასამაგრებლად მიდიან ნორჩი ადამიანები ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ყოველი კუთხიდან.

დაწყებული ყირიმის მომხიბლავი ბუნებით, შესანიშნავი პარკით, თვალუწვდენელი ზღვით, და გათავებული იმ მზრუნველობით, რომლითაც ეპყრობიან აქ ჩასულ ბავშვებს — ყველაფერი ხელს უწყობს ბავშვების ჯანსაღ დასვენებას.

უკვე ჩასვლისთანავე ბავშვებს მხიარულად ეგებებიან, გამოეცნაურებიან თვითეულ მათგანს და ამ დღიდან დაწყებული მათ ერთი წუთითაც არ აკლიათ მზრუნველობა, მოფერება.

ყველაფერი ხიბლავს აქ ნორჩ ადამიანს და უნერგავს მას საუკეთესო ჩვევებს. არტეკში გამეფებულია სისუფთავის რკინის კანონი. დასაძინებელი ოთახები სისუფთავისაგან კრიალებენ. საცვლები, საწოლები, კედლები, ფანჯრები, სასადილო, მთელი პარკი, პარკის ყოველი ბილიკი—ყველაფერს ატყვია მზრუნველობა სისუფთავეზე. და უნდა ნახოთ, როგორ დისციპლინასა და ჰიგიენურ ჩვევებს ნერგავს ეს ბავშვებში.

ყველა შენობა, ამბულატორიები, სახლები ღია ცისფერი საღებავითაა შეღებილი. ბავშვების შესაკრები ადგილები—კოცონის დასანთები მოედნები, სპორტული მოედნები—მორთულია ფერადი დროშებით, პორტრეტებით, ღამით ილუმინირებულია. ყველაფერი, რაც ბავშვებისათვისაა—ნავები, სათამაშოები — გაკეთებულია ლამაზად და გემოვნებით.

არტეკში ჩამოსულ ყოველ ბავშვს ეძლევა სუფთა თეთრი კოსტუმი და თბილი ტანსაცმელი ცუდი ამინდისათვის. ტანისამოსი ლამაზია, მოხერხებული და მის სისუფთავეს განუწყვეტლივ თვალყურს ადევნებენ ბანაკის ხელმძღვანელები.

ყველაფრის ჩამოთვლა, რაც ამ ბანაკის მისაბაძ სტილს შეადგენს, შეუძლებელია. აი, თუნდაც „მკვდარი საათი". არტეკში „მკვდარი საათი" მონათლულია მედიცინის ენაზე სიტყვით „აბსოლუტ". და მართლაც, ამ საათში, დასვენებისა და ძილის საათში, ბანაკში სრული, აბსოლუტური სიწყნარეა. ბანაკი ამ დროს სულს ნაბავს. ახლო გამვლელ ავტომობილებს აკრძალული აქვთ სიგნალების მიცემა. არავინ სტუმართაგანი ამ დროს ბანაკში არ დაიშვება.

ანდა, ვთქვათ, ხელმძღვანელების და სამედიცინო პერსონალის მოპყრობა ბავშვებისადმი. აკრძალულია არამცთუ უხეში მოპყრობა ბავშვებისადმი, არამედ დაუშვებელია გულგრილი-თავაზიანი მოპყრობაც. ბავშვებს აქ კულტურულად ეპყრობიან, ე. ი. მშვიდად, სამართლიანად, გულთბილად, მოფერებით, გულისხმიერად.

აი, ბავშვმა გაატარა თავისი დრო არტეკში და იგი მიემგზავრება არტეკიდან სიხარულის, კმაყოფილების გრძნობით აღსავსე და ღრმა შთაბეჭდილებით. მისი მეხსიერებიდან არასოდეს, მთელს მის სიცოცხლეში არ აღმოიფხვრება ის ტკბილი დღეები, რომლებიც მან არტეკში გაატარა.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

საქ. სახესტრადის საზაფხულო თეატრი და ბაღი
პლეხანოვის პროსპ. № 123, ტელ. № 3-18-50

საზაფხულო თეატრი
2 ივლისს
მუდმ. ადგ. ტალონი № 35
წითელფლოტელთა სიმღერებისა და ცეკვების ანსამბლის
უკანასკნელი საღამო.
3, 4, 5, 6, 7 ივლისს
მუდმ. ადგ. ტალ. № 36 37, 38, 39, 40
ბ. ი. ბოკრუ-კრუპიშევის (მოსკოვი)
გავაი-ანსამბლის გასტროლები.
მონაწილეობენ კაზიმირა მალახოვა და სხვ. დასაწყისი საღამოს 9 ს. 30 წ.
სალარო ღიაა დილის 11 საათ. დღის 3 საათ. და საღ. 6 საათ. 11 საათამდე.

ღია ესტრადა
2—3 ივლისს
ესტრადის საღამოები
დასაწყისი საღამოს 10 საათზე.
ღია ესტრადაზე შესვლა ბაღის შესასვლელი ბილეთებით.
ბაღში სასულე ორკესტრი ხანგოვის ხელმძღვანელობით.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობაზე:
1. ანალიზური გეომეტრია და უმაღლესი ალგებრა — კათედრის დოც. 1.
2. რუსული ენა — კათედრის გამგე დოც. კათედრის დოც. ან უფროსი მასწავლებელი 3.
3. ფიზიკური გეოგრაფია — კათედრის გამგე, პროფესორი ან დოცენტი.
4. პედაგოგიკა — კათედრის გამგე, პროფესორი ან დოცენტი.
განცხადებას უნდა დაერთოს: 1. შევსებული ანკეტა, 2. ავტობიოგრაფია, 3. საქმიანი და პოლიტიკური დახასიათება, 4. სამეცნიერო შრომათა სია. ცნობა სამეცნიერო ხარისხის და წოდების შესახებ.
განცხადების შემოტანის უკანასკნელი ვადაა 20 ივლისი:
მისამართი: ბათუმი, რუსთაველის ქ. № 34.
50
ინსტიტუტის დირექცია.

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
5 და 6 ივლისს
პრემიერა
ო. ჩიშკო
ჯავშნოსანი პოტიომკინი
დადგმა გ. ჟურულისა, მხატვარი პროფ. ი. შარლემანი
დირიჟორი აზმაიფარაშვილი.

თბილისის მაუდის ფაბრიკასთან არსებული საფაბრიკო-საქარხნო სკოლის დირექცია აცხადებს მოწაფეთა მიღებას 1939-40 სასწ. წლ. რუსულ და ქართულ სექტორებზე

სკოლა ამზადებს კვალიფიციურ კადრებს ქსოვის დარგში. სკოლაში მიიღებიან ორივე სქესის ახალგაზრდები 17-დან 25 წლამდე, არანაკლებ 5 ჯგუფის ცოდნისა, უპირატესობა ეძლევათ 7-წლედდამთავრებულებს. საერთო ბინით უზრუნველყოფილი იქნებიან მხოლოდ ქალები. მსმენელებს მიეცემათ სტიპენდია 47-დან 75 მან., აგრეთვე უფასოდ მიეცემათ სადილი, ტრამვაის აბონემენტები და კინოთეატრის ბილეთები.
კურსდამთავრებულებს შეუძლიათ სწავლა განაგრძონ აქვე მუშფაკსა და ტექნიკუმში წარმოებისაგან მოუწყვეტლივ.
სწავლის კურსი ერთწლიანია.
მსურველებმა უნდა წარმოადგინონ: 1. განათლების მოწმობა, 2. მეტრიკული ამონაწერი, 3. პასპორტი (უნდა იქონიონ ხელზე), 4. მოვლინების მოწმობა, 5. ორი ფოტოსურათი.
განცხადებები მიიღება 1 ივლისიდან 25 აგვისტომდე. 25 აგვისტოდან 29 აგვისტომდე იწარმოებს გამოცდები ქართულ ენასა და მათემატიკაში.
სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.
მისამართი: თბილისი, დიდუბე, ბრძოლის ქუჩა № 108-ა, მაუდის ფაბრიკასთან.
1100
დირექცია.

შესაბამისად აზსსრ სახკომსაბჭოს ა. წ. 28 მაისის დადგენილებისა № 2571, აზერბაიჯანის ნავთის პროდუქტების სახელმწიფო გამსაღებელი კანტორა, აზერბაიჯანის სახკომსაბჭოსთან არსებული,—
„აზნეფტსბიტი" უქმდება.
ყველა დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა, რომელთაც აქვთ პრეტენზია „აზნეფტსბიტის" საქართველოს და აფხაზეთის კანტორებთან და მათს რაიონულ განყოფილებებთან და საწყობებთან (ბაზებთან), უნდა წარუდგინონ პრეტენზია „აზნეფტსბიტის" სალიკვიდაციო კომისიის რწმუნებულს ქ. თბილისში მისამართით: თბილისი, მაზუთის შესახვევი № 5, ორი კვირის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.
აღნიშნულ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები არ მიიღება.
221
ლიკვიდკომი.

შვილები მარო, თამარ, შალვა, მარგარიტა, ივერიკო, მიშა კვინიხიძეები ოჯახებით, ცოლისძმა სიმონ ქვარიანი ოჯახობით მწუხარებით იუწყებიან
ბესარიონ მათეს-ძე კვინიხიძის
გარდაცვალებას, დაკრძალვა ქ. ქუთაისში 4/VII.
2367

დამწუხრებული მშობლები კოწია, ნატა, ძმები ნევრონ, დავით, დები თამარ, ლუბა ხუხუნაიშვილები იუწყებიან, რომ 6/VII. 4 ს. ს. ზემო-აკეთში დანიშნულია
ვანო ხუხუნაიშვილის
სამოქ. პანაშვიდი.
2368

თბ. ტრ. ინჟ. ინსტიტუტის 22-ე ჯგუფის სტუდენტები ფ. დათიაშვილი, გ. ბარამიძე, მ. დუშუაშვილი, ქ. დამენია, გ. სიხარულიძე, რ. თოდუა იუწყებიან ამავე ჯგუფის სტუდენტ მერი კახიანის მამის
მიხეილ კახიანის
გარდაცვალებას.
2369

საქ. დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი იუწყება ამავე პრეზიდიუმის წევრის მოსე ფირცხალაიშვილის მეუღლის
ტასო ფირცხალაიშვილის
გარდაცვალებას.
223

უახლოესი მეგობრები შ. დონაძე, მ. მესხი, ლ. ორაგველიძე, სპ. ჩიქოვანი, მ. კობახიძე, ივ. ჩაჩანიძე, ლ. ორახელაშვილი, ილ. კეკელიძე, ვლ. ალიბეგოვი, გ. ზეითურიძე, მ. ჩიგოგიძე იუწყებიან დომენტი მელაძის მამის
სარდიონ მელაძის
გარდაცვალებას.
2361

დამწუხრებული მეუღლე ანა, შვილი მარო, სიძე ვალიკო ჩხეიძე იუწყებიან ძვირფას
გიორგი მოამსწარაშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება 2/VII, 5 ს. ნავთლუღის, 7. დაკრძალვა პეტრეპავლეს სასაფლაოზე.
2360

ძმა გიორგი ბერიკაციშვილი ცოლშვილით, ძმისწული ვანო [illegible]ბერიკაციშვილი ცოლშვილით, დისწული თამარ კოკოხაშვილი ქმრით ღრმა მწუხარებით იუწყებიან
პელაგია ივანეს-ასულ ულაბეგოვის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 2/VII, საღამოს 8 საათზე, ერისთავ-ხოშტარიას ქ. № 28.

მარიამ, ნინო, დათიკო, მოცო მგელაძეები შვილებით, ევსევი წითლიძე, გრიშა, ვერა ბაქუნაიშვილები იუწყებიან
ვარლამ დიმიტრის-ძე მგელაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 2/VII, ს. ჩოჩხათში (ლანჩხუთი).
2359

დამწუხრებულნი და მარიამ მეუღლით სანდროთი მილორავები, ძმები ნიკო, ვარდენ, ლადიკო მგელაძეები ცოლშვილით იუწყებიან ძვირფას
ვარლამ დიმიტრის-ძე მგელაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 2 ივლისს ს. ჩოჩხათში (ლანჩხუთი).

ქალაქის პირველ საავადმყოფოს მეორე თერაპევტიული განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან ივსიხი ცინცაძის ძმის
ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე ცინცაძის
გარდაცვალებას.
2362

მეხუთე სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებლები და ტექპერსონალი ღრმა მწუხარებით იუწყებიან ამავე სკოლის ახალგაზრდა მასწავლებლის
თამარ ფარცხალაძის
გარდაცვალებას.
2364

დამწუხრებული მშობლები დიმიტრი, კესა, ძმები კოლია, იროდი, დები ბაბი, მარო, კატო, ვერა ოჯახით იუწყებიან დაუვიწყარ
ნადია გერია-გონდაურის
გარდაცვალებას.
2365

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28 ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის—3—81—84, სასოფლო - სამეურნეოს—3—73—40, საბჭოთა მშენებლობის და განათლება-ჯანმრთელობის—3—80—83, მრეწველობისა და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, 3—80—81, პ.-მგ. მორიგის—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული—690